სახალხო გაზეთი

№ 952 ხუთშაბათი, 25 ივლისი 1913 წ. № 952

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვეკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დანეკდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სიდამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბ ,,შროშა''-ში, მუბრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელიც კვეკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ საეპრო სახლის ლ. და მ. მეტელ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და საალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკითხავიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **4 მ. 50 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ქ. შ. წ.-კ გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 28 ივლისს, დიდუბის საყდარში, გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი წ.-კ. საზოგადოების დამფუძნებელი წევრის, საზოგადო მოღვაწის, პროფესორის

ალექსანდრე სოლოგოზნის ძის ზაზანაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე. 1407

დილით, 23 ივლისს, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ივანე ვასილის ძე ბარნოვი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის **ასული ბარბალე დგებუაძისა, სიძე კალისტრატე არეტას ძე დგებუაძე, და ეკატერინა ვასილის ასული სიზოვისა და ძმის წულები კოსტანტინე, გრიგოლ და ვლადიმერ მიხეილის ძენი ბარნოვები.** გამოსვენება საკუთარი სახლიდან, კადეტის შეს. № 11, დანიშნულია ხუთშაბათს, 25 ივლისს დილის 9 საათზე წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე. 504

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკეგისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვა იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

25 ივლისს, 1913 წ. გამართება

სავარჯიშო წარმოდგენა, ახლად მოწვეულ მსახიობების მონაწილეობით, როგორც მაგალითად სახელგანთქმული მასხარა სხვა და სხვა გავარჯიშებული ცხოველებით **ბ. რობერტი** მისი მოლაპარაკე ჯორითი და მოლაპარაკე ძაღლით, ,,ტირასით'', შეუდარებელ ძლავრ ჯამბაზებისა **ძმ. ლანეგოებისა**, ვარჯიშობა მეზღვაურ ჯამბაზებისა **ელასი და კარპისა, დუნკანისებურ** აღმოსავლეთის ცეკვისა და პლასტიკის შემსრულებელნი. ფრიკელი ცოცხალი გველებით დები **საფო**, გამოჩენილ ჰაერის მეფეთა **4 შმაკისა.**

დასაწყისი სალამოს 8 ნახევ საათზე.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკეებისა.** 595. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე**

ზამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემ-დეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცია ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიქანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **ხულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ.-ქალ. ბაძრაკეძ-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი ბ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფოლდოვი ბ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ოროემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და მენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 1½—2½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმია და საბაქტეოიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეკვისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606"** და **„914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

ახალი კლუბი

(საზაფხულო სადგომი)

ხუთშაბათს, 25 ივლისს, 1913 წელს.

საოჯახო საღამო

სცენაზე წარმოდგენილი იქნება:

რას ვეძებდი და რა ვპოვე

კომ. 3 მოქმედ. კნ. ბ. ჯორჯაძისა.

სტუმრები გადაიხდიან კლუბში შემოსასვლელად კაცები 1 მან., ქალები—50 კ. და სტუდენტები—25 კ. **დასაწყისი 9 საათზე.** 1402

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

შემდეგი საუმაწვილო წიგნები:

ამოდის ნათდება და სხვა მოთხრობები, ვაჟა-ფშაველასი	15 კ	კეთილი ძაღლი	20 „
ალი, ლომაურისა	10 „	კრილოვის არაკები თარგ. აკაკისა	50 „
„ან" ლ ალნიაშვილისა	10 „	კაკო ყანჩელი ი. ჭავჭავაძისა	5 „
ბუს თავგადასავალი, სენტ-ილერისა	20 „	კოკოლას ნაამბობი აკაკისა	20 „
ბავშვობა და სიყრმე ტოლსტოისა თარგმანი ნ. ნაკაშიძისა	60 „	ლედი ჯენ, ჯემისონის	35 „
„გან" ალნიაშვილისა	10 „	ლაზარილიო ტორმესელი	10 „
გულივერის მოგზაურობა სვიფტისა	30 „	მათიკო და მისი გიშერა	5 „
დედა, ანდერსენისა	8 „	მელიას თავგადასავალი	25 „
დედა-შვილის თავგადასავალი დე-ამიჩისა	15 „	მწვანე სამეფო, ლუნკევიჩისა თარგმ. ნ. კალანდაძისა	20 „
დიმიტრი თავდადებული ი. ჭავჭავაძისა	7 „	მტრედი	10 „
„დონ" ალნიაშვილისა	10 „	მოწაფის დღიური	80 „
„ენ" „	10 „	მოთხრობები, გამოც. „ცისკრისა".	5 „
„ვინ" „	15 „	მეფე ლამზა, როსტომაშვილისა	7 „
„ზენ" „	20 „	მაგდანას ლურჯა ეკ. გაბაშვილისა.	5 „
„თან" „	20 „	მამის ერთგული	15 „
იგავ-არაკნი ალ. მირიანაშვილისა	75 „	ნელო და პატრაში	10 „
		ნათელა, აკაკისა	20 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

„თემი"-ს გამოცემა

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

„მზის სიცილი"

ავტორის სურათით და ბ. ივ. გომართლის კრიტიკული წერილით,

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფასდადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25%, საკომისიოდ—20%.

1380 მისამართი: გაზ. „თემის" კანტორა, ოლგის ქ. № 4.

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ბელანუე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—1½ ს.

ა. ხუდაბაშვილი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—3 ს.

ბოფოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ და კვირ. 4 5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

თბაკაიშვილ. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდაროვი. ვენერიულ, კანისა და სამარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტაცი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ა ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

პონდოლეევი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

შამაშა, სადოსტაკროვ; ყ.-დღ., 1—3 ს.

ბტენიანაცი. ყელიანა, ცხვირ., ყურ. და შიხაგანი, 2—3 ს.

საათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ვაგზლის პერძო

სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

ბ. ა. ბოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. ალდიბშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლოგა „606"-ით 1035

კბილის ექიმი ა. ბ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვადა,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩეოქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ექიმის ი. ი. ბერიშვილი სწავლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმის კბილისა და ღრძილებისა ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე.

ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

ექიმი კბილისა არჩილ დოლიძე

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალად., ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

ტფილისი, 25 ივლისი

ერთი განკარგულების გამო. თითქმის საანბანო ჭეშმარიტება გადაიქცა, რომ რაც ბიუროკრატიულ კიბის დაბალ საფეხურებზე ჩავა ადამიანი, მით უფრო ძნელი ჰხდება კანონიერების დაცვა არსებულ კანონმდებლობის საზღვარშიაც კი, აიღეთ, მაგალითა, სოფელი და სოფლის ადმინისტრაცია. განა საიდუმლოებას შეადგენს ვისმესთვის, რომ სოფლის ადმინისტრაცია ძალიან ბევრს უკანონობას სჩადის? ვისაც სოფელში დიდ-ხანს უცხოვრია, ან შორიდან მაინც დაჰკვირვებია ყურადღებით სოფლის ცხოვრებისთვის ეკონომინება, რომ სოფლის ადმინისტრაცია ძალიან ბევრს უკანონობასა სჩადის. მაგრამ თვითოეული კონკრეტული უკანონობის არამც თუ დასჯა, ძალიან ხშირად დასაბუთებაც კი ძნელი ჰხდება. სოფლელი კაცი, მრავალ მიზეზებისა გამო, ამ მხრით მეტად უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. ასეთი უკანონობა ხშირი იყო განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, როდესაც გაძლიერებული წესების გამო სოფელში საერობო დარაჯების გაძლიერებული რაზმები იდგა. მაშინ ისეთი პირობები იყო შექმნილი, რომ დუმილი გლეხი კაცის მხრით საუკეთესო საშუალება იყო უარეს უკანონობისაგან თავის დაცვისთვის. მას ქომაგი არა ჰყავდა, არავინ მოიძებნებოდა ისეთი, რომელსაც თავს ედო სოფლის ადმინისტრაციის უკანონობის აღმოჩენა და ბოლომდის მიდევნება. ასეთი თავის გამოდება ჩვეულებრივ მომაკვდავთათვის ძალიან სახიფათოდ შეიძლებოდა გათავებულიყო.

ავიღოთ, თუნდა, საერობო დარაჯების გამოკვება. ყველაფერი, რაც საერობო დარაჯებს თავის გამოსაკვებად სჭირდებათ, აუცილებლად სასყიდლით უნდა მიიღონ. მაგრამ კანონი ერთი იყო და ჩვეულება კი მეორე. ეს, ალბათ, დაინახეს გუბერნიის უფროსებმაც, რადგანაც გამოიცა განსაკუთრებული ბრძანება, რომლის ძალითაც სასტიკად არის აკრძალული სანოვაგით უსასყიდლოდ სარგებლობა. ბრძანებასთან ერთად დაარიგეს ნიხრი სანოვაგისა, რომელიც მოუწონებია საგუბერნიო საკრებულოს და ძალაშიაც შესულა. სოფლის ადმინისტრაცია ვალდებული ჰხდება მტკიცედ დაიცვას ეს ნიხრი და მცხოვრებლებს სანოვაგე უსასყიდლოდ არ გამოართვას.

ეს განკარგულება, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტს წესიერებას ამყარებს და შეუძლებლადა ჰხდის ბოროტ-მოქმედებას საერობო დარაჯების მხრით. მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საგუბერნიო საკრებულოს მიერ დაწესებული და სამართლიანად მიჩნეული ფასები სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს და უდრის იმას, რომ ნახევარი სანოვაგე სოფლის საზოგადოებამ უსასყიდლოდ აძლიოს საერობო დარაჯებს.

თუ საგუბერნიო საკრებულო თავის განკარგულებას საფუძვლად იმას უდებს, რომ საერობო დარაჯებისთვის საჭირო სანოვაგეში აუცილებლად საფასური უნდა იქმნას გადახდილი, მაშინ ფასებიც შესაფერისი უნდა დაწესდეს და არა ისეთი, რომელიც სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. მაგალითად, გორის მაზრის ერთს რაიონსში ასეთი ნიხრია დაწესებული:

ერთი ფუთი ქერი	50 კ.
თივა ერთი ფუთი	15 კ.
პური	3 კ.
ქათამი	30 კ.
კვერცხი	1 კ.
ხორცი	7 კ.

არ ვიცით, რით ხელმძღვანელობდა, რანაირი ცნობები ჰქონდა ხელში, როდესაც ამნაირ ნიხრს აწესებდა, მაგრამ ჩვენ კი კატეგორიულად შეგვიძლიან აღვნიშნოთ, რომ ეს ფასები ნახევარია სანოვაგის ნამდვილი საფასურისა, იმ საფასურისა, რამდენადაც თვითონ გლეხი ჰყიდულობს. ფუთი ქერი, მაგალითად, ღირს არა 50 კ., არამედ 80 კ., ფუთი თივა ღირს არა 15 კ., არამედ 40 კ., ერთი პური ღირს არა 3 კ., არამედ 5 კ., ქათამს ვერსად იშოვით 60 კ., ნაკლებ, ხორციც ღირს არა 7 კ., არამედ 12—13 კ. გირვანქა. ჩვენ ვიღებთ მინიმუმს საფასურისას. თქმა არ უნდა, საერობო დარაჯებისთვის სოფლის ადმინისტრაცია დამტკიცებულ ნიხრის კვალობაზე იღებს სანოვაგეს და დანარჩენ საფასურს კი სასოფლოდა ჰკრეფავენ. ამ რიგად, სოფელი ერთგვარ ზედმეტ გადასახადს იხდის საერობო დარაჯების შესანახად. თუ ასეთი ზედმეტი გადასახადის დადება საგუბერნიო საკრებულოს ანგარიშში შედიოდა, მაშინ არაფერი გვეთქმის, მაგრამ, თუ მას ჰსურდა ნიხრის დაწესებით, სანოვაგეში ფულის ექვივალენტი მიეცა, მაშინ დიდად ძოტყუებულია. ზემოაღნიშნულ ნიხრის მიხედვით თუ გუსწორდნენ გამყიდველებს, მაშინ მხოლოდ საფასურის ნახევარს მისცემენ, ე. ი. ცოტა სხვანაირად რომ გამოვსთქვათ ჩვენი აზრი, გამოვა, რომ თუ ამა თუ იმ სოფელში, ვსთქვათ, ექვსი საერობო დარაჯია ჩაყენებული, სამს მათგანს ხაზინა ინახავს და სამს—სოფელი.

საჭიროდ მიგვაჩნია ამ გარემოების აღნიშვნა, რადგანაც ოფიციალურად იყო გამოცხადებული, რომ საერეპო დარაჯებმა სოფელში თითონ უნდა შეინახონ თავისი თავი და სანოვაგეში ხვედრი ფულიც აძლიონო.

ახალი ამგავი

ტფილისი

✦ **ფრეგელის სახელობის კავკასიის საზოგადოება** 1 ოქტომბერს კურსებს ხსნის საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად. კურსები ორ წლიანი იქნება.

✦ **შეწირულება.**—ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა ბ. ი. თუმანიშვილმა ქალაქის თვითმმართველობას ცნობილ ქველმოქმედ ზუბალაშვილების სურათები შესწირა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა სურათები ჩამოჰკიდოს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლსა და ზუბალაშვილისავე სახელობის საქალაქო საბავშვო საავადმყოფოში.

✦ **ტფ. საკომერციო ბანკი** ფინანსთა მინისტრის ნებართვით 15,000 ახალ აქციას გამოუშვებს ამ მოკლე ხანში. თითო აქცია ეღირება 330 მ. ყველა აქციის გაყიდვის შემდეგ ბანკის ძირითადი თანხა ექვსმილიონამდე ავა, ხოლო სარეზერვო—სამ მილიონამდე. ბანკი თავის გახყოფილებებს ჰხსნის: 27 ივლისს—ყარსში, ხოლო 31 ივლისს ქუთაისში.

✦ **საბეითალო საზოგადოებას** აზრად აქვს, ტფილისში პირუტყვთათვის სამკურნალო დაარსოს.

✦ **„ტფილისის კრუფოკ"-მა** თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა როტონოვისაგან საზაფხულო სადგომი შეისყიდა 200,000 მანეთად.

✦ **დაძველებული სახლები.** შიოევისეულ სახლის კედლის ჩამონგრევამ ქალაქის გამგეობა, აგრედვე პოლიცია, როგორც იყო, გამოაფხიზლა: ყოველ დღე დადიან ქალაქში და სახლებს ამოწმებენ. ძრავალი სახლი მართლაც დიდად დაძველებული და სახიფათო აღმოჩნდა. დათვალიერებას განაგრძნობენ. უბედურებათა თავიდან ასაცილებლად მიღებულ იქმნა ღონისძიებანი.

✦ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** როგორც ვწერდით, ბორჩალოს მაზრას საფილოქსერო დასი გაემგზავრა მთავარ ინსტრუქტორის ი. ო. იოსელიანის ხელმძღვანელობით. დასს სოფლებში ძართლაც აღმოუჩენია ფილოქსერა. დაუთვალიერებია შემდეგი ადგილები: გელუმბათი, ხოჯორნი, ბირდაზორი, შნიგი, არჩისი, ჩოჩქანი, ახპატი, ახტალა, ღოუბინო, სადახლო (ახუნდოვის ზვარი) და ახლა შულავერს ჩასულა.

✦ **მებამბეობა.** ხვალ მებამბეობის უფროსი სპეციალისტების ნ. ბ. ტარატინოვისა და ბ. ბ. მედვედევის მეთაურობით ერევნის გუბერნიას მიემგზავრება საგანგებო კომისია, რომელმაც ბამბის საცდელ მინდვრისათვის ადგილი უნდა აარჩიოს.

✦ **მიხეილის საავადმყოფო.** განზრახულია, მიხეილის საავადმყოფო ქალაქის განაპირა ადგილას გადაიტანონ და ყოველ მხრივ საუცხოვოდ მოაწყონ.

✦ **ძმ. ზუბალაშვილები ტფილისის საპატიო მოქალაქენი.** თანახმად ქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობისა უმაღლესად ნება დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულ იქმნა, უხვს ქველმოქმედ ძმებს ზუბალაშვილებს ტფილისის ქალაქის საპატიო მოქალაქეთა წოდება მიენიჭოთ. ამის გამო ქალაქის გამგეობამ მათი გვარები საგანგებო საპატიო წიგნში შეიტანა და ძმებს ზუბალაშვილებს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა. ტფ. ქალაქის თვითმმართველობის დაარსებიდან დღემდე ტფილისის საპატიო მოქალაქის სახელი მიენიჭა და საპატიო წიგნში იქმნა შეტანილი მხოლოდ ერთი კაცი. ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი, მეფის მოადგილის საბჭოს წევრი.

✦ **ტრამვაი.** ქალაქის მოურავის მოადგილემ თ-დმა ა. მ. არღუთინსკიდოლგორუკოვმა წინადადება მისცა ტრამვაის დირექციას, სანიშნებელი ფარნები, რომელიც ვაგონებს ქვედა ბაქანზე აქვს, ზედა ბაქანზე გადაიტანოს; ამასთანავე სინათლე იმ ფერად შეაზავოს, რომ შორიდან მგზავრმა ადვილად გაარჩიოს, რომელი ვაგონი მოდის.

ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ტრამვაის დირექციას, ვაგონების გასაჩერებელ ყველა პრნქტზე დაფაზე აღნიშნოს, რომელი და რომელი ვაგონი დადის ამ ადგილას, რათა მგზავრმა ადვილად წარმოიდგინოს მარშრუტი.

✦ **სიცხემ ტფილისში იმატა.** გუშინ ჩრდილ ადგილებში რეომიურით 32 გრადუსი ტემპერატურა იყო.

✦ **ბამბის მოსავალი.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს ცნობით, წელს მუღანის ველზე ბამბის კარგი მოსავალია მოსალოდნელი. მუღანის შუაგულ ადგილას დათესილია ბამბა 1,500 დესეტინა მიწაზე.

✦ **საეპარქიო მისიონერი ა. პლატონოვი** ამ დღეებში ტფილისის გუბერნიის იმ ადგილებს დაათვალიერებს, სადაც გადმოსახლებულ რუსთა სოფლებია გაშენებული. გამოიკვლევს საეკლესიო საჭიროებათა.

✦ **ეკლესიის კურთხევა.** 26 ივლისს საქართველოს მონასტრების ბლაღოჩინი არქიმანდრიტი ნაზარი მცხეთაში აკურთხებს წმ. ოლგას სახელობის ეკლესია-ნიშს.

✦ **არქიმანდრიტი ნაზარი,** რომელიც მონასტრებისა და ეკლესიების დასათვალიერებლად იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა. არქიმანდრიტს დაუთვალიერებია საფარისა, ზარზმისა, ვარძიისა, წუნდისა და ქუმურდოს მონასტრები და ეკლესიები.

✦ **ბათომის ქალაქის მოურავი** თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი ტფილისს ჩამოვიდა.

✦ საქართველოს ეგზარხოსის განკარგულების თანახმად არქიმანტრიტ ნაზარის თავჯდომარეობით შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ნუხის მაზრის სოფელ ვარიოშენში მცხოვრებ უდინებსა (მართ-მადიდებელნი) ტ სომეხთა შორის ამტყდარი დავა. დავობენ სამლოცველო სახლის გამო, რომელიც ვართაშენშია და რომელსაც ახლა სომხები განაგებენ.

✦ **სასულიერო სემინარიის ძველი შონობის** ქირით გაცემა უკვე დაიწყო. შენობის ქვედა სართულს სხვა სხვა ფირმა დიდის ხალისით ქირაობს საწყობებად. ზედა სართულები ცალკე ბინებად ქირავდება.

✦ **დედათა საეპარქიო სასწავლებლის შენობაზე** მესამე სართულის დადგმის საქმე ჩქარა მიდის წინ. კედლები უკვე ამოყვანილია და შენობა 15 აგვისტოსთვის სულ დამთავრდება. მესამე სართულის დადგმა 33,000 მან. ჯდება.

✦ **ახალი გაზეთი.** ი. ვ. ვოლჩოკმა შუამდგომლობა აღძრა ტფ. გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს მას, გამოსცეს ტფილისში ყოველ-დღიური ორ კაპეიკიანი რუსული გაზეთი სახელად „გოლოს ტიფლისა“ (ხმა ტფილისისა).

✦ **საბირჟო ცნობები.** 24 ივლისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—85 მან., 25 კ., აძლევდნენ—84 მან. 50 კ., ტფ. საოთავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—83 მან., აძლევდნენ—82 მან. 25 კ. ტ ქუთაისის საოთავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მან. 75 კ., აძლევდნენ—79 მან. 80 კ.

სახელმწიფო მომგებიანი ბილეთების საკუმსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ ხარისხის ბილეთები—482 მან. მეორისა—353 მან. და მესამისა—313 მან.

✦ **პურისა და ხორცის დღევანდელ ნიხრის** გადასათვალიებლად 25 ივლისს კრება ექნება ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიას. საბირჟო კომიტეტის ცნობით, საკლავ საქონლისა და ფქვილის ფასმა უკანასკნელ ხანს შესამჩნევაი დაიწია.

✦ **სასანიტარო დათვალიერება.** გუშინ, 24 ივლისს, ქალაქის გამგეობის წევრმა თ-დმა ვ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა სასანიტარო სამკურნალო ინსტიტუტისა და სავაჭრო-სამკურნალო პოლიციის წარმომადგენელთა მონაწილეობით დაწვრილებით დაათვალიერა მესამე და მეოთხე უბანში (სალდათის ბაზარი) მდებარე თორნე-ფურნეები და სხვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი. თითქმის ყველგან აღმოჩნდა უვარგისი და რიგიანად გაკოუმცხვარი პური, რის გამოც დამნაშავეებზე შედგენილ იქმნა ოქმი ამასთანავე დაადგინეს დაუყოვნებლივ დაეტეტილ იქნას ტრაქტირი, რომელიც ბაზრის ქუჩაზე ბარხუდაროვის სახლშია მოთავსებული რადგანაც შენობა ისეთია, რომ იქ ყოველად შეუძლებელია რაიმე ჰიგიენურ პირობათა დაცვა.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი ქართული წიგნი „როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კედლიტის დაწესებულება“, შედგენილი ა. მ. კახელაძის მიერ და გამოცემული ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ. წიგნი 10 კ. ღირს და დიდს საჭიროებას წარმოადგენს ჩვენის სოფლებისათვის.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობამ უკვე შეადგინა დრამატიული დასი.** დასში შედიან ქალები: ნ. ჩხეიძე, ტ. აბაშიძე, ა. ქიქოძე, პ. შოთაძე, მ. მდივანი, ჯავახიშვილი და ჩერქეზიშვილი, ვაჟები: შალიკაშვილი, მესხიშვილი, გუნია, აბაშიძე, მესხი, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, იმხნელი, მგალობლიშვილი, ციციშვილი, აბდუშელი, შანშიევი, ურუშაძე, და სარაული; რეჟისორად მოწვეულნი არიან მესხიშვილი, ქორელი და შალიკაშვილი; სუფლიორად—ბეგლარიძე, სცენარიუსად—ვარვარიძე. გამგეობას მოლაპარაკება აქვს კიდევ სამს მსახიობ ქალთან, რომელთა მოწვევა დასში გამგეობამ საჭიროდ მიიჩნია. პირველი ხნის რეპერტუარი უკვე შემუშავებულია. შალიკაშვილის რეჟისორობით დაიდგმება შემდეგი პიესები: „ღალატი“, „მთის ზღაპარი“, „ანტიგონე“, „მსხვერპლი“, „მესამე სართულის მდგმური“ და „ოიდიპოს კოლონაში“, ქორელის რეჟისორობით „ჯიოკონდა“, „ნორა“, „ედიპე მეფე“, ეროს და ფსიქეა“, „ზამთრის ღამე“ და „რომანტიკოსები“; ვლ. მესხიშვილის რეჟისორობით:—„მორევში“, „კულტურული მკვლელობა“, „ყაჩაღები“ (განახლებული), „კეისარი და იმპერატორი“.

გამგეობამ მოიწვია მუდმივი დეკორატორი ბ-ნი ნაღებოვი.

სასწავლებლებში

✦ **ტფ. საკადეტო კორპუსი** წელს 47 კაცმა გაათავა. ამათში 10 ქართველია. მათი გვარები: ასათიანი, ვაჩნაძე, მაკავარიანი, ავალიანი, ნაცვლიშვილი, კობახიძე, ვაჩნაძე მეორე, მაჩაბელი, კიკნაძე, სიმონიშვილი და უგანათლ. თავადი გრუზინსკი. მისაღები გამოცდა ტფ. კორპუსში შესვლის მსურველთათვის 27 აგვისტოს დაიწყება.

ᲖᲝᲒᲐᲓᲘ.

✦ შაბათს, 20 ივლისს, ელიობა დღეს, წირვის შემდეგ გარდახდილ იქნა პანაშვიდი საქართველოს დიადი შვილის ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად. შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ბლაღ. დ. კავკასიძემ. პანაშვიდს დაესწრო გორის მაზრის თავ.-აზნ. წინამძღოლი ნ. ა. თუმანიშვილი, წ.-კ. საზოგადოების გამგეობის წარმომადგენელნი, ინტელიგენცია და მრავალი ხალხი.

✦ ოთხშაბათს, 17 ივლისს, მაზრის უფროსის მოკვლის მეორე დღესაც დაეპატიმრეს ხალხი. დაპატიმრებულნი ჩამოჰყავთ ახლო-მახლო სოფლებიდანაც.

✦ მივაქცევთ უმამო ქალაქის „მამათა“ ყურადღებას შემდეგს: ძველ აბანოს შესავალ კარებთან კედელი ერთ არშინზე ნახევრად გადმოწოლილია. ადვილი შესაძლებელია გადმოიქცეს და ბავშვები მოიტანოს ქვეშ, რომელნიც აქ მუდმივ დატრიალობენ. საჭიროა კედელი დროზე ჩამოიღონ, თორემ ურემი რომ გადაბრუნდება, გზის გამონახვა შემდეგ, უსარგებლო იქნება.

✦ ამ დღეებში გორის პარიკმახერებმა საეროო თხოვნით მიჰმართეს ტფილისის გუბერნატორს. სჩივიან: ნორმალურ დასვენების კანონის შემოღება დიდ ზარალს გვაყენებსო, მუშტარი მაშინ გვყავს, როცა დუქნები დაკეტილია და თუ ჩვენც მათთან ერთად დავკეტავთ—დავიღუპებითო. სთხოვენ: ნება მოგვეცით კვირა-უქმე დღით გავაღოთ საპარიკმახეროები დილის რვა საათიდან შუადღის ორ საათამდე, საქმის დღით კი დილის შვიდ საათიდან საღამოს ცხრამდეო.

✦ სამხედრო უწყება უკვე შეუდგა **ძეგლის აგებას** ხიდის მარცხენა ყურთან, ყოფილ საქალაქო ბაღში. ძეგლი ედგმის კაპიტან სევერინს, რომელიც 44 ჯარის კაცით მოკლულ იქნა ლეკების მიერ სოფელ ქარელში (გორ. მაზრ.) 12 ივნისს 1803 წ. ძეგლის სასარგებლოდ ეხლახან სამხედრო პირთა მიერ გაიმართა სეირნობა დ. სურამში, რომელსაც დიდი შემოსავალი მოუცია; ასეთსავე სეირნობის გამართვას აპირებენ, როგორც გადმომცეს, გორშიაც. ძეგლის კვარცხლბეკი მალე დამთავრდება და მერე ძეგლსაც დასდგამენ. აქვე იქნება გაშენებული პარკი.

✦ კვირას, 21 ივლისს, შუადღის 12 საათზე, სამეფო ქუჩაზე ლაპარაკი მოუვიდა ერთ საერობო დარაჯს და ერთ გლეხს. დარაჯმა ქარქაშიანი ხმალი დაარტყა გლეხს თავში და ძლიერ დაუზიანა. დუქნის პატრონები იძულებულნი იყვნენ ქვაფენილიდან სისხლი წყლით გადაერეცხათ, იმდენი დაიღვარა. იქვე შეესწრო სამხედრო ექიმი, რომელმაც ჭრილობა შეუხვია დაჭრილს. დამჭრელი დაეპატიმრეს.

✦ უკვე დაანგრიეს ოქონის ეკლესიის გალავანი ტფილისის ქუჩის გასაფართოებლად. ამ ადგილს ქუჩა ისეთი ვიწრო იყო, რომ შეუძლებელი ხდებოდა ორი ეტლის ერთად გავლა.

✦ ვერა და ვერ მოწესრიგდა ამხ. „ამპერის“ საელექტრონო სადგური, რომელსაც აღებული აქვს ქალაქის და ბინების განათება. ხშირად ელექტრონი ჭქრება და ქალაქს უკუნეთი ეფიცავს ხოლმე. მაგრამ ყველაზე მეტს უხერხულობაში კლუბი ვარდება ხოლმე. ხშირად, წარმოდგენის თუ კონცერტის დროს ჭქრება სინათლე.

✦ ოხრდება და ტიალდება ძვირფასი საისტორიო ნაშთი—**გორის ციხე.** გენ.-ადიუტ. ა. ი. ამილახვარმა სიცოცხლის დროს ხალხის დახმარებით ციხე წესიერებაში მოიყვანა—შეაკეთა დაზიანებული კედლები, აიყვანა მილებით წყალი, გააკეთა აუზი, დარგო ხეები, გააკეთა ყვავილნარები და სხვ. ხალხი სიამოვნებით დაიარებოდა და სეირნობებიც იმართებოდა. მაგრამ განვლო დრომ, სიყვარული აპატიით შეიცვალა; საზოგადოებამ თავი მიანება ძვირფას ნაშთს, გავერანდა მშვენიერი ყვავილნარები, დაინგრა აუზი, გახმა, ჩასჭკნა მცენარეები, ციხის ეკლესიის ძველი ნახატობა ვიღაცას მურტალმა ხელმა თეთრი კირით დაჰფარა, ინგრევა კედლები... სხვაგან ამისთანა ნაშთს დანგრეულს აღადგენდნენ, თვალის ჩინებით გაუფრთხილდებოდნენ და შენახულს გადასცემდნენ თანამომავლობას, ჩვენ კი იმის მოვლაც არ შეგვიძლიან, რაც უკვე მზად არის და ჩვენის მხრივ მხოლოდ პატარა ყურადღებას მოითხოვს...

✦ აგერ რამდენი ხანია საქალაქო ბაღის ქვემო შესაყალთან, სახ. სასწავლებლის გადასწვრივ, დაჭყარეს ქვა, ვითომ გზის შესაკეთებლა ღ. ისეთი ქვები ყრია, რომ გავლა შეუძლებელია და ხალხმაც აქეთ სიარული აკრძალა.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

✦ ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობა ენერგიულად ემზადება მომავალ სეზონისთვის; რეჟისორად მოიწვიეს ალ. წუწუნავა. ახლა მოლაპარაკება აქვს ტფილისის არტისტებთან; იმედობენ, რომ დასის შედგენას ახლო მომავალში დაასრულებენ.

✦ ქუთაისში გამოვიდა რუსულ ენაზე ინჟინერ ჟერვეს რედაქტორობით „კავკასიის სამელიორაციო გაზეთი.“

✦ ამ დღეებში საგუბერნიო სამოქალაქო განყოფილებაში გაირჩევა ფოთის მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისის და მისი მწერლის საქმე; ისინი პასუხისგებაში არიან მიცემული სასჯელთა დებულების მეორე ნაწილის 979 და 362 მუხ. ძალით.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ილარიონ თარგამაძეს გამოსცეს ქ. ქუთაისში ყოველ-დღიური „განთიადი.“

✦ 22 ივლისს, ღამის 10 საათზე ალექსანდროვის ქუჩაზე ძალზე შეზარხოშებული სტუდენტი მიხეილ მდივანი დაეჯახა უცნობ მოხელეს, რომელიც მანდილოსანს მიჰყვებოდა. მოხელემ შეურაცყოფად მიიღო სტუდენტის ასეთის საქციელი და იქვე მდგომ საერობო დარაჯს დაუძახა, რომ სტუდენტი პოლიციის განყოფილებაში წაეყვანა. ამ ამბავს ქუჩაში წაადგა ქუთაისის მაზრის ყოფილი მარშალი ბ. ნიჟარაძე, რომელმაც გამოიკითხა ყოველივე და პოლიციას სამმართველოდან გაანთავისუფლებინა ხსენებული სტუდენტი.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ რამდენიმე ოქმი გადასცა მომრიგებელ მოსამართლეს; ოქმები შეეხება ქალაქის სავალდებულო წესების დამრღვეველთ.

✦ სამხედრო მფრინავი-ფლოტილ სასარგებლოდ შემოწირულების მომკრებთა კომისიამ ქუთაისის ქალაქის გამგეობას 20 ცალი მშვენივრად დასურათებული წიგნი გამოუგზავნა. კომისია სთხოვს გამგეობას, ეს წიგნები გაუყიდოს; წიგნის ფასი უყდოდ 2 მანეთი, ყდით 5.

✦ გუშინ დილის 11 საათზე კილაძის სტამბაში დააპატიმრეს ასოთამწყობი კაპიტონ კალანდაძე. დაპატიმრების მიზეზი გამოურკვეველია.

✦ ბ. გიგინეიშვილის საბუღალტერო კურსებზე თხოვნების მიღება დაიწყება პირველ აგვისტოდან, კურსების კანცელარიაში (ტფილისის ქუჩა).

ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘ

✦ ამ დღეებში ოზურგეთის საატუსაღოს ბოსტნიდან გაიქცა ტუსაღი ბურჭულაძე, რომელსაც ბრალედება სისხლის სამართლის ძალით. მაგრამ ის ორი დღის შემდეგ ისევ დაბრუნდა.

✦ ქალაქის სავალდებულო დადგენილების თანახმად, დუქნები უნდა იღებოდეს დილის 6 საათზე და იკეტებოდეს საღამოს 7 საათზე, მაგრამ ზოგიერთები ამას არ ასრულებენ. შესრულდება თუ არა 7 საათი, ისინი რამდენიმედ შიხურავენ დუქნის კარებს და სანამ ძილი არ მოუსწრებს, ვაჭრობას არ შესწყვეტენ.

✦ დღემდე საოსკიპო სახლი ოზურგეთში არ მოიპოვებოდა. დღეს კი ორი დედაკაცის წყალობით გაიხსნა ამნაირი (თუმცა არა ოფიციალურად) „დაწესებულება“ ჩიგოგიძის შენობაში, რომელიც ქალაქს მომავალ ხაზინისთვის უნდოდა.

✦ ხალხი ძლიერ დაინტერესებულია გაიგოს, თუ რა უყო მაზრის უფროსმა იმ ფულებს, რომელიც მოგროვილი იყო განზრახულ რეალურ სასწავლებლის სასარგებლოდ და რომელიც მან ჩამოართვა „სბორჩიკებს“.

✦ 21 ივლისს დ. აბაშაში შესდგა ადგილობრივი მომხმარებელი საზოგადოების, „ანგარიში“-ს საზოგადო კრება. კრებამ დამტკიცა წლიური ანგარიში და სხვათა შორის დაადგინა: 1) მავნე ზნე-ჩვეულებათა (ტირილი, ქორწილი ტ სხვ.) გადასაგდებად და მათგან გამოწვეულ უსარგებლო ხარჯით სასარგებლო საქმის გასაკეთებლად დაარსდეს ურთიერთ დახმარების ტ ჯანმრთელობის ფონდი, რომლის წესდების დამტკიცებისთვის ზრუნვა მიანდო ი. გაბილაიას; 2) მასვე მიანდეს, მიიღოს მონაწილეობა ბიუროს სახელით სრულიად რუსეთის კოოპერატორთა კრებაზე წარმომადგენელთა გაგზავნაში; 3) გაიხსნას საზოგადოების განყოფილებანი ს. საქილაოში სამი და სამიქაოში ერთი. მოგება 1076 მ. 34 ნახ. კაპეიკი ჰქონია დუქანს. („თ. ქ.“)

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

(სტატისტიკური ნაკვლევი)

VI *)

ავიღოთ ახლა ჩვენი ხალხის გამრავლების საქმე. მაზრების მიხედვით 1909 წელში დაქორწინება, დაბადება და სიკვდილი უდრიდა:

	დაქორწინება	დაბადება	სიკვდილი	ზემატება
	ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲥᲔᲡᲘᲗᲐ			
ქუთაის მაზრ.	1817	6384	3698	2686
შორაპნის „	1473	5100	2991	2109
რაჭის „	663	2545	1314	1231
ლეჩხუმის „	457	1563	1006	557
სენაკის „	988	3202	2071	1131
ზუგდიდის „	1069	2854	1910	944
ოზურგეთ. „	659	1731	978	753
ქალ. ქუთაისში	204	1144	675	469
„ ფოთში	81	294	175	119
„ ოზურგეთ.	21	86	41	45
„ რედუტ-ყალ.	12	13	7	6
ყველა მაზრაში	7126	23379	13968	9411
„ ქალაქებში	318	1537	898	639

შევისწავლოთ და დავამუშავოთ ეს კონკრეტული ცნობა. აქედან ვხედავთ, რომ ათას სულზე ორივე სქესისა ხალხს ემატება წელიწადში მაზრებისა და ქალაქების მიხედვით:

ქუთაისის მაზრაში	12	სული
შორაპნის „	15	„
რაჭის „	14	„
ლეჩხუმის „	9	„
სენაკის „	8	„
ზუგდიდის „	7	„
ოზურგეთის „	8	„
ქალ. ქუთაისში	12	„1)
„ ფოთში	14	„
„ ოზურგეთში	8	„
„ რედუტ-ყალეში	8	„

ამ რიგად გამოდის, რომ ყველაზე მეტად მრავლდება ხალხი ზემო იმერეთში, შემდეგ რაჭაში, ქვემო იმერეთში, ხოლო ყველაზე ნაკლებად სამეგრელოში და გურიაში.1) რა არის ამის მიზეზი? ისა, რომ ზემო იმერეთი და რაჭა ადამიანს უფრო მოხერხებულად იფარავს სხვადასხვა ავადმყოფობისაგან, ვინემ გურია-სამეგრელო? არა, მკითხველო. შევუდგეთ შემდეგს კვლევა-ძიებას და დავინახავთ, რომ ათი ათას სულზე დაბადებულთა რაოდენობა უდრიდა მაზრებ-ქალაქების მიხედვით:

ქუთაისის მაზრაში	30	სული
შორაპნის „	26	„
რაჭის „ „	30	„
ლეჩხუმის „	27	„
სენაკის „ „	24	„
ზუგდიდის „	22	„
ოზურგეთის „	18	„
ქალ. ქუთაისში	31	„
ფოთში „ „	36	„
ოზურგეთში „	13	„
რედუტ-ყალეში	17	„

დაეკვირდით ამ მეტის-მეტად საგულისხმიერო და დამაფიქრებელ ცნობებს. აშკარად ვხედავთ, რომ ყველაზე ნაკლებად იბადება ადამიანი გურიაში და სამეგრელოში. ჩვენ არ ძალგვიძს იმის გამოკვლევა, თუ რა მიზეზების გამოა, რომ გურია-სამეგრელოში ნაკლებად იბადება ხალხი; ხოლო ნაკლებ გაჩენიდან ხალხიც, რომ ნაკლებად გამრავლდება—ეს პირდაპირ ცხადია. ამნაირად აიხსნება, რომ გურია-სამეგრელოში ხალხი ნაკლებად მრავლდება არა უკულტურობის გამო, არამედ ბუნებრივის მიზეზით, ხალხის ნაკლებად გაჩენის გამო. რომ ეს ასეა, რომ პირიქით, გურია რაჭის შემდეგ ყველაზე უკედ იცავს ადამიანს, ამას ჩვენ ვამტკიცებთ შემდეგის ცნობით. დაბადებულთაგან ცხოვრებას რჩება ათას სულში:

ქუთაის მაზრ.	—	40	ᲬᲠᲝᲪ.
შორაპნის	—	42	„
რაჭის „	—	46	„
ლეჩხუმის	—	33	„
სენაკის „	—	33	„
ზუგდიდის	—	31	„
ოზურგეთის	—	44	„
ქალ. ქუთაისში		38	„
ფოთში „	—	38	„
ოზურგეთში	—	60	„
რედუტ-ყალეში		47	„

ამნაირად, დაბადებულთაგან ყველაზე მეტი რჩება ცხოვრებას რაჭის, შემდეგ გურიაში, შემდეგ შორაპნის მაზრაში, ხოლო ყველაზე ნაკლები ზუგდიდის მაზრაში.

ჩვენ უკვე აღვნუსხეთ, რომ ჩვენს კომპენტენციაში არ შედის გამოკვლევა იმისა, თუ რადაა საზოგადოდ ნაკლებად ნაყოფიერი გურიის ხალხი მცხოვრებთა ბუნებრივ გამრავლებაში. მაგრამ ერთი გარემოების აღნუსხვა რამდენადმე ნათელს მოჰფენს ამ საკითხს. საქმე ისაა, რომ მედიცინაში დამტკიცებულად ითვლება ის შეხედულება, რომ, მაგალ., ვენერიული ავადძყოფობანი ძეტისმეტად ხელს უშლის მცხოვრებთა ბუნებრივ გამრავლების საქმეს. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, სრული სურათს წარმოდგენა ჩვენში სხვა და სხვა ობიექტიურ და სუბიექტიურ მიზეზის გამო ყველად შეუძლებელია, მაგრამ ის მცირე ცნობა, რომელიც ჩვენც შეგვიძლია ავამტყველოთ, შეიძლება საგულისხმიერო გამოდგეს. ასე, მაგალითად, ქალაქებში და ძაზრებში ქსენონებისა და ავბულატორიების ცნობით 1909 წ. ყოველგვარ ავადმყოფობის რეგისტრაცია ამბობს, რომ ქალაქების საავადმყოფოებისათვის მიუმართავს 42.218 პირს, მაზრებში კი 129,936 პირს. ჩვენთვის საინტერესო არაა ყოველგვარი ავადმყოფობის სურათი. უკვე აღვნუსხეთ მისი ძდგომარეობა. მაგრამ, ამ სხვა და სხვა ავადმყოფობის შორის თუ რა ალაგი უკავია და როგორაა განაწილებული ვენერიული სნეულებანი, ეს კი ძლიერ საინტერესოა ჩვენთვის. ასე, ვენერიული ავადმყოფთა რიცხვი იმავე ქსენონ-ამბულატორიების ცნობით 1909 წ. უდრიდა. სიფილისი ყოველგვარი, შანკრი და სუსუნატი მოდიოდა

		ამათში მარტო სუსნატით
ქალაქ ქუთაისში	1,909	763
„ ფოთში	539	163
ქუთაისის მაზრაში	532	285
სენაკის „	145	71
ზუგდიდის „	424	206
რაჭის „	234	99
ლეჩხუმის „	196	101
ოზურგეთის „	259	102
შორაპნის „	411	90

რომ კიდევ უფრო სხარტად ტ მარტივად წარმოვიდგინოთ, სად მეტი ვენერიული ავადმყოფობაა, ამიტომ სურათი გადავშალოთ სულობის მიხედვით, ასე მოდიოდა ვენერიული ავადმყოფი ათი ათას სულზე:[1])

	ყოველგვარი ვენერ. ავადმყ.	სუსუნატიანი
ქალაქ ქუთაისში	525	210
„ ფოთში	660	200
ქუთაისის მაზრაში	24	12
სენაკის „	10	5
ზუგდიდის „	33	16
რაჭის „	27	11
ლეჩხუმის „	34	17
ოზურგეთის „	27	10
შორაპნის „	23	5

ფრიად საგულისხმიერო და საინტერესოა ეგ ცნობა. ჩვენ იგი აშკარად გვიჩვენებს მეტად დიდ განსხვავებას სოფელსა და ქალაქებს შორის. კულტურული ქალაქები ათჯერ და ოცჯერ მეტად მოდებულია ვენერიული სნეულებებით, ვინემ მაზრა-სოფლება. თვით სოფლებში ვენერიულ ავადმყოფობით ყველაზე მეტად არის შეწუხებული ლეჩხუმის, ზუგდიდის და ქუთაისის მაზრა, ყველაზე ნაკლებად შორაპანის, სენაკის და შემდეგ ოზურგეთის მაზრა. აქედანვე ცხადია, რომ მცხოვრებთა ბუნებრივ გამრავლებაში ვენერიულ ავადმყოფობას ნაკლები გავლენა აქვს, კერძოდ გურიაში იგი სნეულება არაა მიზეზი მცხოვრებთა ნაკლებად გამრავლებისა და ამიტომ მიზეზიც სხვა სოციალურ, ეკონომიურ თუ ბუნებრივ მოვლენებში უნდა ვეძიოთ.

ხალხის კულტურის დახასიათების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრედვე ფოსტის წარმოებას. ცხადია, რომ კულტურული ხალხი, გარეგანსული და მცნობი თავისი სამშობლოს ჭირ-ვარამისა, მძაფრ დამოკიდებულებაში იქნება ერთმანეთთან, რაიცა დღევანდელ ჩვენი ცხოვრების პირობებში უმთავრესად ფოსტა-ტელეგრაფის წარმოების სიდიადეში გამოიხატება. ხოლო ფოსტა-ტელეგრაფის საქმის წარმოება მოდის მოძრაობაში ეკონომიური მიზეზების გამო. ვაჭრობა-აღებ-მიცემობა, მეურნეობა, შრომის გაქირავება და სხ. აუცილებლად ანვითარებს ფოსტა-ტელეგრაფის საქმესაც და სწორედ ამიტომაა, რომ სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებში ფოსტის მუშაობა უფრო დიდია, ვინემ ყრუ ადგილებში. ასე უბრალო წერილების, დაზღვეულ ბარათების, ფულის, ამანათების და დეპეშების გატანა და შემოტანა უდრიდა რაიონობის მიხედვით:

სადა?	უბრალო ბარათები ყოველ-გვარი	დაზღვეული ბარათები ყოველ-გვარი	ფულების გადატანა, „პერევოდ-პაკეტები“	ამანათები	დეპეშები
იმერეთში	3.055.995	130,027	140.871	80.362	149.848
სამეგრელოში	1.065.599	50.965	55.536	21.884	92.051
გურიაში	233.203	9.855	28 290	5.220	12.717
რაჭაში	175.529	6.008	11,163	2.706	9.016
სვანეთში	65.475	1.534	4.233	984	3.068
ყველგან	4.595 801	198.389	240.093	111.156	266.700

*) იხ. „ახალ. გაზ.“ № 951

1) ათას სულზე ქუთაისში მომატებული 1907 წელში 12 სული, 1908 წ—10 ს ხოლო ქ. ფოთში მომატებული 1907 წელში 17 სული 1908 წ.—2 ს.

1) უნდა აღვიარო, რომ ამ ცნობებიდან გამოაკლილი შეხედულებანი უფრო მტკიცე იქნებოდა, რომ ჩვენ აგვეღო რამდენიმე ათეული წელი. სამწუხაროდ ეს შეუძლებელი გახდა. ხოლო 1909 წ. ავიღეთ ჩვენ შემოხვევით, და ამიტომ მას დაახლოვებითი წარმოდგენა მაინც შეუძლია ჩვენი სინამდვილის.

1) გარდა ამ რიცხვისა, კიდევ რამდენი სნეული არ მოჰყვა რეგისტრაციას, მაგრამ ასეთ ნამდვილ ცნობის ამეტყველება ჩვენ შ. მხოლოდ ნამდვილ მოქალაქეობის ხანაში თუ შეიქმნება მოსახერხებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

ეკლესია.

ჩვენ ერურს განათლებულს საზოგადოებას განათლების უმთავრეს ნიშნად მიაჩნია ურწმუნობა, სრული გაძევება სარწმუნოებისა თავის მსოფლმხედველობიდან, თავის პრაქტიკულ ცხოვრებიდან; ეს მაშინ, როდესაც, მაგალითად, ინგლისის ერი, მოწინავე, უმაღლესი კულტურის ერი, ღრმად მორწმუნეა საზოგადოდ და პატივისცემა სარწმუნოებისადმი ყველაზედ მეტად ინგლისშია განვითარებული.

სარწმუნოებრივი განუვითარებლობის, რელიგიის აბუჩად აგდების შედეგია, რომ ჩვენში განათლებულები სრულებით უყურადღებოდ სტოვებენ ეკლესიის საკითხს. ეკლესიამ დაჰკარგა ჩვენთვის ყოველივე მნიშვნელობა, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არავითარი ადგილი არ უკავია ეკლესიას; თუ ხანდახან ლაპარაკს დავიწყებთ ეკლესიის შესახებ, ამას შემთხვევითი ხასიათი აქვს და არა შეგნებული, პრინციპიალური, სისტემატიური. ეს, რასაკვირველია, არ ხდება იმიტომ, რომ არ გვაკმაყოფილებდეს დღევანდელი ხახე ეკლესიისა. მაშინ ხომ სხვა ეკლესიისთვის ამოვიღებდით ხმას, სხვა სახეს მოუძებნიდით, სხვანაირად მოვაწყობდით არსებულს ეკლესიას. ეს არ ხდება არც იმიტომ, რომ თავისუფლებას ვართ მოკლებულნი და არა გვაქვს ნება გამოვექომაგოთ ჩვენის რწმენის საგანს. არა! მართალია, ძალიან დაშორებულნი ვართ თავისუფლებას, მაგრამ ეხლანდელი ორპოფული წესწყობილება არც ისე მთლად თავზე ხელაღებულია, რომ არ შეგვეძლოს სრულიად დაცვა ჩვენის სარწმუნოებრივი პიროვნებისა. აქაც იგივეა, რაც ჩვენის ცხოვრების სხვა დარგში. უმოქმედონი, ურწმუნონი, უგულონი, ლაჩრები, დამფრთხალნი, ვით ცხვრები უპატრონო, განუვითარებელნი, მოკლებულნი თავის პატივისცემას და ღირსებას სხვას ვაბრალებთ ჩვენს ურწმუნობას, ჩვენის რწმენის და ეკლესიის გათახსირებას.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ გვქონდეს, შეგვწევდეს უნარი გაბედული ხმა ამოვიღოთ ეკლესიის პატივისაცემლად, ძის უფლების აღსადგენად, მისი თავისუფლების შემოსაფარგლავად, ხმა ჩვენი არ იქნებოდა ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა და ჩვენს ხმას ასე თუ ისე ანგარიშს გაუწევდნენ. მაგრამ ჩვენი უბედურობა ისაა, რომ ეკლესიას თვითონ ჩვენ არა ვსცემთ პატივს და გვინდა (გვინდა?), რომ სხვები, გარეშენი სცემდნენ პატივს. თვითონ ჩვენთვის არა აქვს ღირებულობა ეკლესიას და სხვებს ვუსაყვედურებთ, თუ რატომ არ აფასებენ. თვით ჩვენ არ გაგვიცია ჩვენი თავისთვის პასუხი, არ გადაგვწყვეტია, სარწმუნოება და ძისი გამოძსახველი ეკლესია საჭიროა, თუ არა? მუდამ ვიოყვევით, გაუბედავად ვიქცევით; თუ რასმე ვიტყვით, მაშინვე შეგვეშინდება ნათქვამის და უკან დავიხევთ და ასეთს პირობებში, უეჭველია, ჩვენს სიტყვებს გასავალი არ ექნება.

ამიტომ საეკლესიო საკითხი უპირველესად ჩვენი პირადი შეგნების საკითხია. თუ ჩვენ აღვიარებთ პრინციპიალურად სარწმუნოების ღირებულებას; თუ ვიცნობთ, რომ რელიგია აუცილებელი მოთხოვნილებაა ჩვენის სულისა, რომ სარწმუნოება განუკვეთელი ნაწილია ჩვენი მსოფლმხედველობისა, მაშინ ჩვენ არ შეგვიძლია უპატივცემულოდ მოვეპყრათ ეკლესიას, თუმცა დღევანდელი ეკლესია შეიძლება მისი გარდამავალი სახე იყოს, არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავსტოვოთ საეკლესიო საკითხები. ჩვენ რომ მორწმუნენი ვიყვნეთ, ჩვენ რომ შეგნებული გვქონდეს სიდიადე სარწმუნოებისა, ის რომ სარწმუნოება არის სფერო ჩვენი სულის უნაზესი გრძნობებისა, უღრმესი მისწრაფებისა, უიდუმალეს ზრახვებისა, მაშინ დიდად პატივსა ვსცემდით სარწმუნოების ყოველგვარს გამოხატულებას, მაშინ სხვებიც პატივით მოეპყრობოდნენ ჩვენს სარწმუნოებას და ეკლესიას.

საჭიროა სავსებით გათვალისწინება და შეგნება საგნისა. ადამიანის პიროვნების გამომსახველი ყველაზე მეტად მისი იდუმალი ღრმა სულას კვეთება, მისი რწმენა, მისი სინდისია და თუა შეგნება ადამიანის პიროვნების ღირსებისა, ეს ღირსება უპირველესად ეკუთვნის მის სინდისს და სარწმუნოებას, და თუა ბრძოლა პიროვნების დაცვისა, პატივისცემისათვის, ეს ბრძოლა უნდა იყოს უმთავრესად ადამიანის სარწმუნებრივ პიროვნებისათვის... თუა საჭიროა თავისუფლება, სრული უკუგდება ძალადატანებისა, იძულებისა,—ეს საჭიროა პირველად სარწმუნოებისა და მისი მოწყობისათვის...

ეს არის ერთი მხარე საეკლესიო საკითხისა ჩვენში, აგრე ვსთქვათ მისი ფილოსოფიური თეორეტიული მხარე: ჩვენ სარწმუნოებას ვერ განვაგებთ და თუ ვაფასებთ ადამიანის პიროვნებას და თავისუფლებას, ყველაზე უწინარეს ეს თავისუფლება უნდა მოვითხოვოთ სარწმუნოებისათვის, ეკლესიისათვის. მაგრამ არის მეორე პრაქტიკული მხარეც.

ჩვენი ერის დღევანდელი სარწმუნოება გამოიხატება ისტორიულად შემუშავებულ განსაზღვრულ საეკლესიო ფორმაში. ეს ეკლესია—სახე საერთაშორისო საქრისტიანო სარწმუნოებისა, იმავე დროს არის წმინდა ეროვნული დაწესებულება. იგი შექმნილია საქართველოს შვილების, საუკეთესო შვილების ღვაწლითა მრავალი საუკუნის განმავლობაში. ქართულ ეკლესიაში ჩაითესა ულიდესი მამულიშვილების უმაღლესი ლტოლვანი, მისწრაფებანი, ოცნებანი; აქაა ჩაწერილი „თელი ხალხის უკეთესი ფიქრები და გრძნობები, აქაა ერის სულის წყურვილი, შემოქმედება, აღმაფრენა. ეს ეკლესია წარმოშვა ქართველმა ერმა, მისმა სარწმუნოებამ, მისმა ფილოსოფიურმა მსჯელობამ, მისმა მხატვრულმა, პოეტურმა ნიჭმა და ქართული ეკლესია—ეს თვითონ ქართველი ერია, მისი კულტურა, მისი სახე, მისი სული და გული.*)

და თუა ჩვენში პატივისცემა და სიყვარული მშობლიურ კულტურისა და შემოქმედებისადმი, თუა შეგნება ეროვნული სახის საჭიროებისა, თუა თვითმოქმედება აუცილებელი პიროვნება ჩვენი ეროვნულის განვითარებისათვის, ჩვენ უნდა ვაფასებდეთ, დიდად ვაფასებდეთ ქართული ეკლესიის თავისუფლებას. იგი უნდა განვითარდეს საკუთარის გზით, განვითარდეს ძალდაუტანებლად, განიწმინდოს მეტხორცისა და ცრუმორწმუნოებისაგან და შეიქნეს ერის თავისუფალი სარწმუნოების გამომხატველი!..

სიტყვა.

*) ჩვენს ეკლესიასთან მჭიდროდ იყო და არის გადაბმული ჩვენი მხატვრობა, ხუროთმოძღვრება და მუსიკა.

საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა კრება

ვაკრობა-მრეწველობის მინისტრმა ნება დართო, მოიწვიონ ტფილისში მიმდინარე წლის 15-დან 20 დეკემბრამდე საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრება. კრების მოწვევაში კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება მხურვალე მონაწილეობას იღებს და კრებისთვის დიდს მზადებაშიაც არის. კრების პროგრამა და დებულება საზოგადოებამ უკვე შეიმუშავა.

კრების დებულებიდან, სხვათა შორის, შემდეგი სჩანს: კრების წევრებად შეიძლება იყვნენ წარმომადგენელნი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისა, სავაჭრო-სამრეწველო ფირმებისა, საყინულეთა მოწყობის საქმის სპეციალისტები, ტეხნიკოსები, ბეიოლები, ექიმები და სხვანი. კრების ნამდვილი წევრნი იხდიან სამს მანეთს საწევრო ფულს. კრებაზე მონაწილეობის სურვილი უნდა განაცხადონ არა უგვიანეს 1 დეკემბრისა საორგანიზაციო ბიუროში (კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში). განცხადებაში აღნიშნული უნდა იქმნას სახელი, გვარი, სამსახური ან საზოგადო მდგომარეობა და სხვ. განცხადებასთან ერთად საწევრო ფულიც უნდა იყოს წარდგენილი. მოხსენებანიც წარდგენილ უნდა იქმნენ არა უგვიანეს 1 დეკემბრისა.

კრების პროგრამაში ოთხი მუხლია: პირველ მუხლში აღნიშნულია: 1) საყინულეთა მოწყობის საქმის საკითხები კავკასიის ცხოვრებისა და პირობებთან შესაბამებლად, 2) საკითხი ხელოვნურ ყინულის მომზადებისა და მის მოხმარების შესახებ, 3) საერთო სამეცნიერო—სატეხნიკო და საკანონმდებლო—საადმინისტრაციო საკითხები და 4) საყინულეთა მოწყობის საქმის მდგომარეობა რუსეთში და საზღვარ-გარედ. კრებასთან ერთად გაიმართება გამოფენა, სადაც უჩვენებენ მეხაქონლეობისა და მებაღეობის ნაწარმოებთა შენახვას. გამოფენა ქალაქის სასალახოს სადგომში გაიმართება.

კოოპერატიულ კურსებზე

ქართულ-სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მიერ მოწყობილ კოოპერატიულ კურსების მსმენელებმა ლექტორებით და ხელმძღვანელებით დაათვალიერეს კახეთის მეღვინეთა საზოგადოების „კახეთი“-ს სარდაფები და მეტად კმაყოფილნი დარჩნენ, მათ საზოგადოების სამმართველოში საუზმე გაუმართეს. კვირას დილით ექსკურსიით გაემგზავრნენ დიდ-ლილოში, იქაურ მერძევეთა კოოპერატიულ ამხანაგობის დასათვალიერებლად. ლექტორებს ევდოკიმოვსა, ვასილიევს და სხვათ ძლიერ მოეწონათ დიდი ლილოს ამხანაგობის საქმის დაყენება, როგორც კოოპერატიულ დაწესებულების მინიატიურა. შემდეგ ისინი მიიწვიეს ვაჩნაძესთან, სადაც მათ სადილით გაუმასპინძლდნენ. აქვე მოვიდა ლილოს გლეხობაც. გამართეს ჰიდაობა, ცეკვა და სხვა, რამაც ძლიერ დაინტერესა უცხოელი ლექტორები. ლილოს ქალებიც არ დააკლდნენ ლხინს და იმათაც გამართეს ცეკვა-თამაში. ლექტორები ესაუბრნენ გლეხებს და ძლიერ ნასიამოვნები დარჩნენ მათის გონივრულის პასუხით და ცოდნით. საერთოდ ექსკურსიამ საუცხოოდ ჩაიარა და მეტად ნასიამოვნები ექსკურსანტები კვირას საღამოს ტფილისს დაბრუნდნენ.

სამშაბათს, საღამოს 7 ნახ. საათზე ლექცია წაიკითხა დ. ვაჩნაძემ, შემდეგ თემაზე. „საქართველოს ეხლანდელი მდგომარეობა და კოოპერაცია“. ლექტორმა ორიოდე სიტყვით აღნიშნა გეოგრაფიული და კლიმატიური თვისებანი ჩვენის ქვეყნისა, აგრედვე, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამ ფაქტორებთან სასოფლო მეურნეობას ჩვენში. შემდეგ ლექტორმა მსმენელთ უამბო დანიის მეურნეობის ისტორია მე-XVIII საუკუნეში და შეუდარა მას დანიის ეხლანდელი მეურნეობა. წინად თემობრივი მფლობელობა იყო მიწისა და მამული ფრიად დაქუცმაცებული იყო. რეფორმების შემდეგ ეს მოისპო და ეხლა დანია მეურნეობის მხრივ ერთ საუკეთესო ქვეყანად ითვლება, სადაც ხშირად ორი დღიური მიწით მშვენიერად იკვებება ექვსი სულისაგან შემდგარი ოჯახი. შემდეგ ლექტორი გადავიდა მიწის მფლობელობაზე ჩვენში. აუტანელი პირობები, რომელშიც აქამდე ჩვენი გლეხი იყო, ბიუროკრატიამ არ მოსპო და მეურნეობაც დაცემულია; მიწის დაქუცმაცებაც აგრედვე ისეთია, რომ ხეირიან მეურნეობაზე ლაპარაკიც კი მეტია. ასეთ გარემოებას უნდა მიეშველოს კოოპერატივებიო. ლექტორმა დასასრულ დიდხანს ილაპარაკა ჩვენი ქვეყნისათვის კოოპერაციების მნიშვნელობის შესახებ. ლექცია ღრმად იყო დასაბუთებული და კარგი შთაბეჭდილებაც დასტოვა.

შემდეგ ლექცია წაიკითხა ბ-ნმა **ვასილიევმა:** ჩვენი მეურნეობისა და სანოვაგის ცივად შენახვის შესახებ. მელიც „სახ. გაზეთის“ № 933-ში იყო მოთავსებული. პატივისცემა ბეჭდვითი სიტყვისა იძულებულს გვყოფს პასუხი გავსცეთ ბ-ნ „დამსწრეს“, თორემ ღირსი არ არის ისეთი კაცი პასუხისა, რომელიც გაზეთის 2 ნახ. სვეტს ავსებს და ერთ სიმართლეს არ ურევს შიგ. რათა ერთხელ და სამუდამოდ ლაგამი ავსდოთ „დამსწრეს“ და კომპ., იძულებული ვართ სიტყვა-სიტყვით მოვიყვანოთ, როგორც სამოსწავლო მთავრობის, აგრედვე ბ-ნ კუხალეიშვილის განკარგულებანი და მას დავუპირდაპიროთ ის, რაც კრებაზე ითქვა: „19 ივნისი, 1913 წ. № 1863. მის მაღალკეთილშობილებას ბ-ნს ხონის ბოქაულს. ვთხოვ თქვენს მაღალკეთილშობილებას, უბრძანოთ კუხის საზოგ. მამასახლისს, რათა მან მოკლე დროში შეჰყაროს ს. დიდისა და პატარა გუბის მცხოვრებთა ყრილობა სკოლის გახსნის საკითხის გადასაწყვეტად; ამასთანავე გთხოვთ, გამოუცხადოთ ხსენებულ სოფლების მცხოვრებთ, რომ თუ სავაჟო და საქალებო სკოლათა შენობას არ მოიყვანენ შესაფერ მდგომარეობაში, მომავალ სამოსწავლო წლიდან იქ სწავლა შესწყდა, სანამ შენობებს შესაფერად არ შეაკეთებენ“. სახ. სკოლების ინსპექტორი გროზდოვი.

როგორც მკითხველი ჰხედავს, აქ ლაპარაკია ახალი სკოლის გახსნაზე და არსებულების შეკეთებაზე. ახლა მოიგონეთ ბ-ნ კუხალეიშვილის განკარგულება „№ 979. 23/VI 1913 წ. **საჩქაროდ.** ვუბრძანებ კუხის საზოგ. მამასახლისს, დაუყოვნებლივ შეჰყაროს ს. დიდისა და პატარა გუბის ყრილობა მაცხოვრის ეკლეს. გალავანში და მოახსენოს საკითხი სკოლის გახსნის შესახებ და დაადგინოს შესაბამი განაჩენი. დამოუკიდებლად ამისა, გამოეცხადოს ყრილობას, შეაკეთონ სავაჟო და საქალებო სკოლების შენობანი, მის შესახებაც დადგინდეს შესაფერი განაჩენი. შედეგის შესახებ წერილობით მომხსენდეს მე“. ხონის ნაწილის ბოქაული კუხალეიშვილი.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს განკარგულება 23 ივნისისაა დაწერილი, კრებაც იმავ დღეს ინიშნება, მაგრამ არა იქ, სადაც სასწავლებლებია, არამედ იმ უბანში, სადაც სასწავლებლების გადატანაა განზრახული. ეს საჭირო იყო იმისთვის რომ, რაც შეიძლება მეტი ხალხი დასწრებოდა „იმ ქუჩიდან“, რათა ოჯახიდან ორ-სამს მიედო კრებაში მონაწილეობა, რაც კიდეც მოხდა, და კრებაზე უმრავლესობა შეადგინა. მასთან ამ განკარგულებიდან მკითხველი ჰხედავს, რომ ამ კრებას თითქოს ბოქაული არ ესწრება და ყოველივეს ანდობს მამასახლისს; ნამდვილად კი, ალ. ნიჟარაძის თხოვნით, ბ-ნი კუხალეიშვილი თანვე მოჰყვება თავის განკარგულებას. ყველა ამან თქვენი ჭირი წაიღოს, რომ სამოსწავლო მთავრობის მოწერილობის თუნდ ერთი სიტყვა მაინც ყოფილიყვეს გამოცხადებული და კრების ერთი ნაწილი სრულიად არ ყოფილიყვეს სიტყვის უფლების მოკლებული! ჩვენ, და ჩვენთან ერთად სხვებმაც, მოვისმინეთ, რომ არსებული სასწავლებლები ერთი ერთნაპირას გადაგვეტანა და მეორე—მეორე ნაპირას, არსებულის შეკეთებაზე საიდგან იქნებოდა ლაპარაკი, როდესაც, მათი აზრით, ის უნდა დანგრეულიყო?! ბ-ნი „დამსწრე“ მე მაწერს წესის დარღვევას და უკადრის აგიტაციას; თუ სიტყვის თქმის ნების თხოვნა წესის დარღვევაა, არ ვიცი, თორემ ძალიან სურვილიც რომ მქონდა აგიტაციისა,—განა შემეძლო ეს?! სიტყვის თხოვნისათვის მიქერდნენ და აგიტაციისათვის არ დამატუსაღებდნენ?! მე არა და თქვენ კი დაძვრებოდით, ბ-ნო „დამსწრენ“ და კომპ. ხალხში არსებული სკოლების დასანგრევად, აგრეთვე კრებაზედაც დიდი გახმობ-გამოხმობა გქონდათ, მაგრამ გაგიცრუვდათ ყველაფერი.

ბ-ნი „დამსწრე“ ბრძანებს: საზოგადოების ერთმა ნაწილმა გამოსთქვა სურვილი (მეორე ნაწილი როდის ალაპარაკეთ?!) რომ ძველი **ორ კლასიანი** სასწავლებელი, რომელიც ახლა შუა ადგილას არის, გადატანილიყო ერთ მხარეს, ახალიკი გახსნილიყო მეორე მხარესო. საბრალო! ალბად ამდროს დონ-კიხოტივით ქარის წისქვილებზე ოცნებობდა. სად იყო **ორ ორკლასიანი** სასწავლებელი, რომ იგი სადმე გადაეტანათ?! არსებობს ორი **ერთ კლასიანი** სასწავლებელი, ერთი ვაჟებისა და მეორე ქალებისა, რაც ბ-ნ ინსპექტორის მოწერილობიდანაც სჩანს; კითხვა დადგა ამ კრებულების გადატანაზე და არა ახალის გახსნაზე. ბოლოს მეორემხარის დაუკითხავად კენჭიც ამ კითხვას უყარეს, მაგრამ საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა მსურველებისა. „ძველი სასწავლებელი დაცლებულია სოფლის განაპირა ადგილებს, და ვისაც განაპირა ადგილიბის მცხოვრებნი სოფლის უკანოსო შვილებად არ მიაჩნია მზგავსად ვ. მოსეშვილისა—მოვალენი იყვნენ ანგარიში გაეწიათ კანონიერ სურვილისთვის“,—ბრძანებს ბ-ნი „დამსწრე“. ამას რომ კანონიერების დამცველი ლაპარაკობდეს კიდევ ჰო, თქვენკი, ბ-ნო „დამსწრეევ“, ორი კვირის წინად სოფლის მეორე ნაპირი სულ გამოსტოვეთ, სთხოვეთ ბოქაულს, რათა მარტო დიდიგუბის კრება მოეწვია, რაზედაც დაუყონებლივ მოხდა გაფრთხილება, და სასწავლებლები „ბოინში“ *) უნდა გადაგეტანათ. თქვენზე დღეს 1½ ვერსითაა დაშორებული სასწავლებლები, ხოლო მეორე ნაპირზე მაშინ 4 ვერსით იქნებოდა; თქვენთვის 1½ ვერსია გავლა ძნელია, ხოლო სხვისთვის 4 ვერსის კი ადვილი, არა?! აი, სამართალიც ასეთი უნდა! წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ გიჭირთ 1 ნახ. ვერსის გავლა და გინდათ „ბოინში“ სასწავლებელი, მერე ვინ არის ამის წინააღმდეგი?! აკი ძრავალჯერ მოგახსენეთ, რომ ჩვენ, გარდა სიშორისა, „ბოინში“ ბავშვებს ვერ გავგზავნით, იმიტომ, რომ ყოველ სიგლახეს ისწავლიან, და თუ თქვენ გსურთ, თქვენის ხარჯით გაიკეთეთ-თქო. სასწავლებელი რომ ჩემს ახლოს არის, აძით რა გინდათ, რომ სთქვათ? მე აქ ვეასახლე სასწავლებლის გახსნამდე და აბა ყველას ახლოს ხომ არ იქნება სასწავლებელი?! სიტყვა „დანგრევეს“, როგორც მე მაქვს ნახმარი უადგილოდ სთვლის „დამსწრე?“ მაშ, როგორ მიგქონდათ ამ მანძილზე ამოდენა სახლები?! ჰაეროპლანით ხომ არ ჰფიქრობდით გადაფრენას?! „ბოქაულმა რომ მასწავლებელს მოწერილობის წაკითხვის ნება არ მისცა, ამაში მას ბრალი არ მიუძღვის, ძან უკვე წაუკითხა ხალხს მოწერილობა და ხალხმაც გაიგო; ეს მხოლოდ მათთვის იყო ხელსაყრელი, რომელიც საზოგადოების სურვილს წინააღუდგიენო“,—ბრძანებს „დამსწრე“. სწორედ იმისთვის არ ეიცა მასწავლებელს წაკითხვის ნება, რომ რაც შიგ ეწერა, ის არ იყო გადაცემული ხალხზე, რამაც გამოიწვია მასწავლებელის და ბოქაულის წალაპარაკება. ამას გამოარკვევს ის გამოძიება, რომელიც უკვე დანიშნულია გუბერნატორისაგან და, ვეჭვობ, ბ-ნი „დამსწრე“ წმინდად დასტოვოს ამ გამოძიებამ. სად გაყვადთ საზოგადოების უმრავლესობა?! მიუხედავად იმისა, რომ ოჯახიდან ორ-ორი იყავით, მასთან მთვრალი მედუქნეებიც გამორეკეთ, უმრავლესობა მაინც არ ყოფილხართ. რომ უმრავლესობა ყოფილიყავით განა განაჩენს არ დაადგენდით მაშინვე?! „ბოქაულმა განკარგულება გასცა, რომ მასწავლებელი კრებიდან გაეყვანათ, როგორც არა საზოგადოების წევრი, რათა ამითი მის მიერ დარღვეული წესი აღედგინაო“. აი სიმართლე თუ გნებავთ ეს არის! ბოქაულმა კრებიდან კი არა, დარაჯით 7 ვერსის მანძილზე ფეხით გაგზავნა მასწავლებელი, შეუყენა ოქმი და გადასცა გამოძიებელს, მოწმეებად ბ-ნი „დამსწრე“ და კომპ. დაასახელა და მათაც ისეთი ჩვენება მისცეს გამომძიებელს, რომ, თუ ძოუხერხეს, უნდათ დაღუპონ. დიახ, ბ-ნო „დამსწრეე“! ჯერ მაცდურის როლი შეასრულეთ ჩვენსა და ბოქაულს შორის, მერე მოწმედ დადექით, ეხლა ვექილობაც იკისრეთ?! ასეთი ხელობა თქვენთვის დაგვილოცნია.

სიმთვრალე კრებაზე „დამსწრეს“ ჩვენთვის შეუნიშნავს და არა იმათთვის, რომელნიც თვითვე დუქნებიდან გამორეკა კრების შესაკრებად. მაშ, ვინ იყო ბეჟ. ცაგარეიშვილი, რომ ხელში კეტით მოგვვარდა და ხევისთავ—სტრაჟნიკმა ძლივს შეაჩერა?! ან კიდევ ივ. ცაგარეიშვილი, რომელიც უშვერი სიტყვით შეურაცხყოფდა მთელ სოფელს?! მაგრამ რას ვამბობ? ბ-ნი „დამსწრე“ ამ დროს, ალბად, ახალი ჩამომხტარი იყო სკამიდან და როლში შესულს შავი თეთრად ეჩვენებოდა. სიმართლის დამალვა შეიძლება ორ კაცში, ხოლო 150 კაცში, რამდენიც უნდა ჰმალოთ, არ დაიმალება. ამაოდ ჩაგვლით მოწმების ძებნაც იმაზე, თითქოს სამოსწავლო მთავრობის მოწერილობა არ დაგემალოთ ხალხისათვის.

ვლ. მოსეშვილი.

*) ხალხი იმ ადგილს სადაც სასწავლებლის გადატანა სურდათ მეტ ხახელად „ბოინს“ უწოდებს. ვლ. მ.

... ...

ამ რიგად, რაიონების მიხედვით, წარმოდგენილი გვაქვს მთელი მოძრაობა სხვა და სხვა სახის კორესპონდენციის, ნივთებ ამანათების, ფულების, დეპეშების. რა თქმა უნდა, ჩვენ მარტო ამ რიგად ცნობის მოყვანით არ დავკმაყოფილდებით. ჯერ უნდა აღვნუსხო, რომ პირველ სვეტში—უბრალო კორესპონდენციების მოძრაობის მაჩვენებელ ... შედის, როგორც ფასიანი კორესპონდენციები, ისე უფასო. ეს აი რას ნიშნავს: მთავრობას და ზოგ საზოგადო-კულტურულ დაწესებულებას კანონით მინიჭებული აქვს უფლება აგზავნოს სხვა და სხვა საჭირო-საქმიანი ქაღალდები, სადაც უნდა, უფასოდ. ეს საქმიანი ქაღალდები წარმოადგენენ იმ უფასო კორესპონდენციებს, რომელიც გამოყოფილია სტატისტიკოსის ძიერ ცალკე სვეტში. საერთოდ მთელ კორესპონდენციებში ამ უფასო საქმიან ბარათებს დაახლოვებით 40%-ნი ალაგი უკავია. როგორც ვიცით, ხალხის კულტურულობის დასახასიათებლად ამ ხასიათის ბარათები ვერ გამოდგებიან. ამიტომ ჩვენ ავიღებთ და წარმოვიდგენთ მხოლოდ ისეთ ბარათებს, ღიას, დაფარულს, დაზღვეულს თუ სხ., რომელნიც ფასიანია, მარკიანი, რომელიც მოძრაობს ხალხის ინტერესების მიხედვით. ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი მარკიანი კორესპონდენციები შემოსულა და გასულა:

	ცალი	ცალი	სულზე
იმერეთში	2.514,115	5,6	„
სამეგრელოში	999,968	3,7	„
გურიაში	197,948	1,8	„
რაჭაში	135,079	1,5	„
სვანეთში	48,291	0,8	„

როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტად საქმიანობს იმერეთი, შემდეგ სამეგრელო, გურია, ხოლო უკანასკნელი ალაგი სვანეთს უჭირავს. თითქმის ასევეა საქმე მთავრობის და სხ. საქმიან ქაღალდების მოძრაობაში. მარტო მთავრობის და სხვა დაწესებულებათა ბარათი შემოუტანიათ და გაუტანიათ:

	ცალი	სულზე	ცალი
იმერეთში	671,907	„	1,5
სამეგრელოში	114,696	„	0,4
გურიაში	55,110	„	0,5
რაჭაში	46,458	„	0,5
სვანეთში	18,718	„	0,3

ამ შემთხვევაში ცვლილება ხდება გურიისა და რაჭის სასარგებლოდ, სადაც საქმიანი ბარათების გატანა-შემოტანა იმერეთს შემდეგ ყველაზე მეტად ხდება.

მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმიერო და საინტერესოა წარმოდგენა მხოლოდ დროებითი გამოცემის ტრიალის გატან-შემოტანის. ასე გაზეთები და სხ. პერიოდიულ გამოცემების შემოტანა და გადატანა უდრიდა:

	ცალი	სულზე	ცალი
იმერეთში	593,337	„	1,4
სამეგრელოში	260,042	„	0,9
გურიაში	160,704	„	1,5
რაჭაში	36,772	„	0,4
სვანეთში	23,712	„	0,4

ამ შემთხვევაში კი გურიას პირველი ალაგი უჭირავს მთელს ქუთ. გუბერნიაში სპარბობს იმერეთს და დიდად სტოვებს უკან სამეგრელოს, რაჭასა და სვანეთს.

ფოსტა-ტელეგრაფის სიმრავლეშიაც გურიას პირველი ალაგი უჭირავს, მაგრამ ფოსტის წარმოების საქმეში კი მას იმერეთის ზოგიერთი კუთხე სჯობნის. ასე, მოდიოდა ფოსტა ტელეგრაფის კანტორა-განყოფილებანი.

		ათას ოთხკ. ვერს.
იმერეთში	— 9	1,4
სამეგრელოში	„ 6	1,1
გურიაში	„ 4	2,0
რაჭაში	„ 3	1,1
სვანეთში	„ 1	0,2

ამრიგად საფოსტო დაწესებულებანი ყველაზე ხშირად შეგხვდებათ გურიაში, შემდეგ იმერეთში, სამეგრელოში, რაჭაში და ყველაზე იშვიათად სვანეთში.

რაც შეხება საფოსტო განყოფილების აღებ-მიცემობას, შემოსავალ-გასავალს, მოგებას, აქ კი გურიას ბევრი კუთხე სჯობნის. ასე შემოსავალ-გასავალი, მოგება საერთოდ და სულობის მიხედვით რაიონებში მოდიოდა:

რაიონებში	შემოსავალი	გასავალი	მოგება
იმერეთში	140.382	55.708	84.874
სამეგრელოში	60.364	26.555	33.808
გურიაში	16.583	8.031	8.552
რაჭაში	44.14	4.511	—97
სვანეთში	2.176	2.057	119

მაშასადამე, ხაზინას ყველაზე მეტი მოგება აქვს იმერეთის საფოსტო დაწესებულებებიდან, შემდეგ სამეგრელოდან, გურიადან, სვანეთიდან, ხოლო რაჭიდან, ხაზინა ზარალსაც იღებს. რომ კიდევ უფრო სისწორით წარმოვიდგინოთ, თუ ხაზინა სულობის მიხედვით საიდან მეტს იღებს-იგებს ნუ დავიზარებთ ციფრების გადამუშავებას, რომელიც წარმოგვიდგება შემდეგის სახით:

ხაზინა იგებს:

იმერლებიდან,	19	კაპ. წელში
მეგრელებიდან,	13	„ „
გურულებიდან,	8	„ „
რაჭიდან	არაფერს	
სვანადან	½	„ „

ახლა კი უფრო აშკარაა, თუ სად მეტად სახეირო ყოფილა საფოსტო დაწესებულებანი ხაზინასათვის.

თ. ღლონტი

... ...

მელიც „სახ. გაზეთის“ № 933-ში იყო მოთავსებული. პატივისცემა ბეჭდვითი სიტყვისა იძულებულს გვყოფს პასუხი გავსცეთ ბ-ნ „დამსწრეს“, თორემ ღირსი არ არის ისეთი კაცი პასუხისა, რომელიც გაზეთის 2 ნახ. სვეტს ავსებს და ერთ სიმართლეს არ ურევს შიგ. რათა ერთხელ და სამუდამოდ ლაგამი ავსდოთ „დამსწრეს“ და კომპ., იძულებული ვართ სიტყვა-სიტყვით მოვიყვანოთ, როგორც სამოსწავლო მთავრობის, აგრედვე ბ-ნ კუხალეიშვილის განკარგულებანი და მას დავუპირდაპიროთ ის, რაც კრებაზე ითქვა: „19 ივნისი, 1913 წ. № 1863. მის მაღალკეთილშობილებას ბ-ნს ხონის ბოქაულს. ვთხოვ თქვენს მაღალკეთილშობილებას, უბრძანოთ კუხის საზოგ. მამასახლისს, რათა მან მოკლე დროში შეჰყაროს ს. დიდისა და პატარა გუბის მცხოვრებთა ყრილობა სკოლის გახსნის საკითხის გადასაწყვეტად; ამასთანავე გთხოვთ, გამოუცხადოთ ხსენებულ სოფლების მცხოვრებთ, რომ თუ სავაჟო და საქალებო სკოლათა შენობას არ მოიყვანენ შესაფერ მდგომარეობაში, მომავალ სამოსწავლო წლიდან იქ სწავლა შესწყდა, სანამ შენობებს შესაფერად არ შეაკეთებენ“. სახ. სკოლების ინსპექტორი გროზდოვი.

როგორც მკითხველი ჰხედავს, აქ ლაპარაკია ახალი სკოლის გახსნაზე და არსებულების შეკეთებაზე. ახლა მოიგონეთ ბ-ნ კუხალეიშვილის განკარგულება „№ 979. 23/VI 1913 წ. **საჩქაროდ.** ვუბრძანებ კუხის საზოგ. მამასახლისს, დაუყოვნებლივ შეჰყაროს ს. დიდისა და პატარა გუბის ყრილობა მაცხოვრის ეკლეს. გალავანში და მოახსენოს საკითხი სკოლის გახსნის შესახებ და დაადგინოს შესაბამი განაჩენი. დამოუკიდებლად ამისა, გამოეცხადოს ყრილობას, შეაკეთონ სავაჟო და საქალებო სკოლების შენობანი, მის შესახებაც დადგინდეს შესაფერი განაჩენი. შედეგის შესახებ წერილობით მომხსენდეს მე“. ხონის ნაწილის ბოქაული კუხალეიშვილი.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს განკარგულება 23 ივნისისაა დაწერილი, კრებაც იმავ დღეს ინიშნება, მაგრამ არა იქ, სადაც სასწავლებლებია, არამედ იმ უბანში, სადაც სასწავლებლების გადატანაა განზრახული. ეს საჭირო იყო იმისთვის რომ, რაც შეიძლება მეტი ხალხი დასწრებოდა „იმ ქუჩიდან“, რათა ოჯახიდან ორ-სამს მიედო კრებაში მონაწილეობა, რაც კიდეც მოხდა, და კრებაზე უმრავლესობა შეადგინა. მასთან ამ განკარგულებიდან მკითხველი ჰხედავს, რომ ამ კრებას თითქოს ბოქაული არ ესწრება და ყოველივეს ანდობს მამასახლისს; ნამდვილად კი, ალ. ნიჟარაძის თხოვნით, ბ-ნი კუხალეიშვილი თანვე მოჰყვება თავის განკარგულებას. ყველა ამან თქვენი ჭირი წაიღოს, რომ სამოსწავლო მთავრობის მოწერილობის თუნდ ერთი სიტყვა მაინც ყოფილიყვეს გამოცხადებული და კრების ერთი ნაწილი სრულიად არ ყოფილიყვეს სიტყვის უფლების მოკლებული! ჩვენ, და ჩვენთან ერთად სხვებმაც, მოვისმინეთ, რომ არსებული სასწავლებლები ერთი ერთნაპირას გადაგვეტანა და მეორე—მეორე ნაპირას, არსებულის შეკეთებაზე საიდგან იქნ

თვის, მემკვიდრეობის დამტკიცებისათვის და სხვ. ეხლა სინოდმა განმარტა, რომ მეტრიკების მიცემა მხოლოდ ერთხელ შეიძლება, განმეორებით კი აღარ მიიცემა, მხოლოდ შეიძლება აღება ცნობისა თუ რა არის მეტრიკაში აღნიშნული. საინტერესოა მიიღებს თუ არა სასამართლო ამგვარ ცნობას მემკვიდროების დამამტკიცებელ საბუთად, მთავრობა, სამსახურში მიღების საბუთად, სასწავლებელი გამოცდებზე დასაშვებად და თვით სამღდელოება ჯვარის დაწერის დროს და სხვ. გამოურკვეველია თვით ხასიათი ამ ცნობისა.

სხვა და სხვა ამბავი

მოუხერხებელი გაქცევა.

პალტავის სადგურზე მიუყვანიათ პატიმართა ჯგუფი, რომელთაც ხარკოვში ჰგზავნიდნენ. როდესაც ტუსაღები მატარებლის ახლოს მიიყვანეს, ერთმა ტუსაღმა კაშეკოიმ ხელი ჰკრა თანამხლებელ დარაჯს და გაიქცა. კაშეკოიმ მოასწრო სადგურზე მდგარ მატარებელთა შუა მიმალვით რკინის გზის ლიანდაგს გაშორებოდა და ტყეში მიმალულიყო, მაგრამ დარაჯი გამოუდგა კაშეკოის და ხუთჯერ ტყვია ესროლა. მეხუთე ტყვიის სროლის შემდეგ კოშეკოი წაიქცა. აღმოჩნდა, რომ კაშეკოი ოთხი ტყვიით დაჭრილიყო მძიმედ.

მსხვერპლი ბალკანეთის შეტაკებისა.

გაზეთ „Dei Zeit"-ის გამოკვლევით სერბიის მთავარმა ჯარმა დაჰკარგა 25 ათასი კაცი, ჩრდილოეთის ჯარმა 5—6 ათასი კაცი, გარდა ამისა ბევრი ხოლერითა და სხვა გადამდებ ავადმყოფობით დახოცილა. ბერძნებმა დაჰკარგეს 16—18 ათასი კაცი, მათ შორის ბევრი დაჭრილი დახოცილი მხედრებია. ჩერნოგორიის ჯარმა, რომელიც 12,000 კაცისაგან შესდგება 10 პროცენტი უკვე დაჰკარგა. ასე რომ მოკავშირეებმა დაჰკარგეს 50.000 კაცი. ბულგარელებმა დაჰკარგეს მეტი. ცნობებით ევლისის პირველ ნახევარში 30000 კაცი საავადმყოფოში იწვა. 12—15 ათასამდე მდინარე ბრეგალნიცის ნაპირებზე დაეხოცათ. ივანოვის ჯარმა დაჰკარგა 20.000 კაცი და 8 ათასი ტყვედ წაიყვანეს. საერთო დანაკლისი ბულგარეთისა 80.000 კაცს შეადგენს. ბულგარელებმა მოკავშირეებთან შეტაკებაში დაჰკარგა მეტი, ვიდრე ოსმალეთთან ომში.

ჩაით ვაჭრობა.

1911 წელს ჩაი მოსულა მთელ ქვეყანაზე 317 მილიონი კილოგრამი, ჩაის მრეწველობის მხრივ სხვა და სხვა ქვეყნები ასე განაწილდებიან: ინდოეთი—123.200 ათასი კილოგრამი, ცეილონი 85.000 ათასი კილ. იავა 21.900 ათასი კილ., იაპონია 19.400 ათასი კილ. ფორმოზა 11.600 ათასი კილ., ნატალი და ამაია 1.400 ათასი კილ. ამ რიცხვთა აღნიშვნაში შეტანილია ის ჩაიც, რომლის წარმოებაც განვითარებულია ჩინეთში. ყოველ წლივ ჩინეთში აგურის ჩაი მოდის 36 მილიონი კილოგრამი. არ შედის ამ რიცხვში იმ ჩაის რაოდენობა, რაც ამავე ქვეყნებში იხარჯება. მაგალითად ჩინეთში იხარჯება 775 მილიონი კილ. ჩაი წელიწადში. ჩაის ხარჯის მიხედვით სახელმწიფონი განაწილდებიან ასე: შეერთებული სამეფო (ინგლისი): 134.1000 ათასი კილოგრამი; შეერთებული ამერიკა 62.500 ათასი კილ.; რუსეთი 49.800 ათასი კილ. ავსტრალია 18.000 ათასი. დანარჩენი ევროპის სახელმწიფონი სულ 15.000 ათასი კილ. სპარსეთი 3.600 ათას კილ. მაროკო, ალჟირი და ტუნისი 3.400 ათას კილ. ჩილი და არგენტინა 320 ათას კილ. სამხრეთ ამერიკა—3.200 ათას კილ.

ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. ბეტ. საგენტოსაგან)

23 ივლისი.

ბუქარესტი. რუმინიისა, სერბიისა, საბერძნეთისა და ჩერნოგორიის წარმომადგენელთა საღამოს კრებაზე მაიორესკუმ აუწყა კრებას სიტყვიერი განცხადებანი ინგლისისა და ავსტრიის წარმომადგენლებისა იმის შესახებ, რომ მათი მთავრობა თანახმაა გადაათვალიეროს კონფერენციის დადგენილება კავალის თაობაზე. ასეთივე განცხადებას ელიან სხვა სახელმწიფოთაგანაც. მაიორესკუმ ურჩია: იღონონ მთელის ძალით, რომ კრების დადგენილება საკითხის გადამწყვეტელი იყოს. პაშიჩმა განაცხადა: იმ მსხვერპლის მიხედვით, რომელიც სერბიას დააწვა თავზე, მას არ შეუძლია უარი სთქვას რადოვიშტზე და სტრუმიცაზე. ვუკოტიჩმა სთქვა: სერბია ჩერნოგორიას ადგილ-მამულის მიცემით აუნაზღაურებს დახმარებისათვის გაწეულ ხარჯს. რუსის ელჩმა შებეკომ ინახულა ვენიზელოსი.

სტამბოლი. სახალხო და საქონლის მატარებელი მუდამ დღე ივლიან ადრიანოპოლიდან ოღრაკ-კილისემდე.

ლონდონი. „რეიტერის საგენტოს" გაუგია, რომ ბულგარეთი არ განაახლებს შეტაკებას და დაუთმობს მოკავშირეთა მთავარ მოთხოვნილებებს. სტამბოლიც დათმობის პოლიტიკას დაადგება და არ წავა სახელმწიფოთა წინააღმდეგ ადრიანოპოლის საკითხში. ადრიანოპოლის აღებას ისე უცქერიან, როგორც ოსმალოს ჯარის პრესტიჟის აღდგენის სურვილს და ევროპაში სესხის მოპოვების წადილს.

ბელგრადი. როგორც ერთი მინისტრის ცნობიდან სჩანს, ბუქარესტიდან დამაშვიდებელი ამბავი მოდის; სჩანს, ზავი მალე ჩამოვარდება. სერბიის საზოგადოებრივი აზრი იცვლება ბულგარეთის სასარგებლოდ. პაშიჩის დეპეშის მიღების გამო მოხდა სხდომა მინისტრთა საბჭოსი, მეფის თავმჯდომარეობით, რომელზედაც განიხილეს ბულგარელების საწინააღმდეგო წინადადება და დროებითი ზავის გაგრძელების საკითხი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საგენტოსაგან).

23 ივლისი.

უცხოეთი.

მილანი. საყოველთაო გაფიცვა წყნარად მიმდინარეობს. სადგურზე მიმოსვლისათვის მუშაობს 30 ტრამვაი. გაზის ქარხნების მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა. მემწვანილეები გაიფიცნენ მუნიციპალიტეტთან უთანხმოების გამო.

ტოკიო. იაპონიის სამხედრო-საზღვაო მინისტრი სამხრეთ-ჩინეთის წყლებში წავიდა.

შანჰაი. ჩინეთის ფლოტმა უპასუხა სროლით ვუზუნის სიმაგრეებს. მეამბოხენი შესამჩნევად გამაგრდნენ. ხმები დადის კანტონიდან ვიცე-მეფე გაიქცაო, ქალაქში და მის მიდამოებში ანარქია. გონკონგიდან გაიგზავნა ინდოეთის ჯარის რამდენიმე რაზმი.

ბერლინი კრუპის ქარხანაში ბოროტმოქმედების გამო სამხედრო სასამართლომ იცნო დამტკიცებულად, რომ ჰოსყიდვა არსებობდა და სამოსამსახურო ბძანების ურჩობა. გარდა ციხით დასჯისა ბრალდებულთ გადაეწყვიტათ ფულის ჯარიმაც.

ლონდონი. წყალქვეშ მოცურავე ნავები მშვიდობით დაბრუნდნენ.

რომი. პოლიტიკურ წრეებში და პრესაში დიდ ადგილს უთმობენ ალბანეთის საზღვრების საბოლოოდ გამორკვევას ლონდონის კონფერენციისაგან. ამტკიცებენ, რომ იტალია არ დაეთანხმება საკითხის გადაწყვეტას.

პორტ-საიდი. რუსეთის გემზე „მეტეორზე", რომელიც ამხანაგობა „ოკეანეს" ეკუთვნის და რომელსაც გაწმენდილი ნავთი მიჰქონდა, აფეთქდა სამანქანო განყოფილებაში. მოკვდა მემანქანე, დაშავდა ცეცხლის გამჩაღებელი. ინგლისის სამხედრო გემი „პერსეუსი" მიეშველა „მეტეორს" და მიიღო დაშავებული ცეცხლის გამჩაღებელი.

ლონდონი. ასკვიტმა მიიღო პარლამენტის დეპუტაცია, რომელიც საზოგადოებათა პალატის ყველა პარტიათა წარმომადგენელებისაგან შესდგებოდა. დეპუტაციამ სთხოვა ასკვიტს გაიყვანოს ინგლისის მთავრობამ ლამანშის პსკერის ქვეშ ტონელი, რომელიც საფრანგეთთან შეაერთებს ინგლისს. ასკვიტმა უპასუხა, რომ ეხლანდელი მდგომარეობა შეძლებას აძლევს ინგლისს ტონელი გაიყვანოს, რადგანაც საფრანგეთთან მჭიდრო მეგობრული კავშირი აქვსო.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩი მექსიკაში ვილსონი სამსახურიდან გადადგა.

პარიზი. მთავარ საბჭოში არჩევნების დროს, როგორც მთავრობას გაუგია რეაქციონერ-ნაციონალისტები ჰკარგავენ 50 ადგილს, მემარჯვენე პროგრესისტები 9 ადგილს, მემარცხენე პროგრესისტები 7 ადგილს, მემარცხენე რესპუბლიკანელნი იგებენ 16 ადგილს, რადიკალ სოციალისტები 42 ადგილს რესპუბლიკანელი სოციალისტები 2 ადგილს, შეერთებული სოციალისტები 6 ადგილს.

ჰამბურგი. დაიჭირეს ორი გემი ორმაგი პსკერით, რომელთა შუა სპირტის 500 ჭურჭელი აღმოჩნდა.

რუსეთი

პეტერბურგი. მოულოდნელად გარდაიცვალა თავის მამულში ტვერის გუბერნიაში ჟანდარმთა შტაბის უფროსი გერშელმანი.

ბეჭდვითი საქმის კომიტეტმა დაიკავა „რაბოჩაია პრავდა"-ს № 9 და „ჟივაია ჟიზნ"-ის № 11.

მთავარმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა საჩივარი 7 კატორღელისა, რომელთაც მოსკოვის სამხედრო სასამართლომ დღრჩობა გადაუწყვიტა ციხის ზედამხედველის მოკვლისათვის და სამი ზედამხედველის მოკვლის განზრახვისათვის.

პოლტავა. საოლქო სასამართლოში დანიშნულია საქმე სახელმწიფო სათათბიროს წევრის ვარუნ სეკრეტისა. ბრალს სდებს თავად-აზნაურთა წინამძღოლის საქმის მწარმოებელი, რომელმაც რევიზია მოახდინა თავად-აზნაურთა დაწესებულებებში და ელისავეტგრადის მარშლის სამმართველოში საქმეები ცუდ მდგომარეობაში ნახა. ამ დროს ელისავეტგრადის მარშლად ვარუნ-სეკრეტი იყო. ეს რევიზია ვარუნ-სეკრეტმა უმართებულოდა და შეურაცხყოფილად სცნო და მოითხოვა თავად-აზნაურთა კრების მოხდენა. წერილში, რომელიც ვარუნ-სეკრეტმა გუბერნიის წინამძღოლს მისწერა, საქმის მწარმოებელმა პაპოვმა თავი შეურაცხყოფილად დაინახა და ვარუნ-სეკრეტს უჩივლა.

რიგა. მიწის თხრის ბალტიის მხარის სიძველეთა საზოგადოების წევრმა აღმოაჩინა ორი სასაფლაო მეშვიდე და მეათე საუკუნისა, ბევრი იარაღითა და ბრინჯაოს ნივთებით. გერმანელთა კოლონიაში გლეხმა შემთხვევით განძი იპოვა, ბევრი ოქრო აღმოჩნდა.

პეტერბურგი. გაზეთ „გრაჟდანინ"-ის რედაქტორი თავადი მეშჩერსკი და გაზეთ „რუსკაია მოლვა"-ს რედაქტორი ლუშნიკოვი სამართალში არიან მიცემული 1038 მუხლის ძალით.

იაკუტსკი. აზნაურმა ასტრახანცევმა შესწირა 10.000 მან. წითელი ჯვრის რენტკენის კაბინეტისა და ელექტრონით, სინათლით და წყლით სარჩენისათვის. ყოველწლივ შეიტანს კიდევ 1,000 მან.

კოვნა. შავლიოში მოხდა კიდევ რამდენიმე თავდასხმა და მკვლელობა. მძარცველთა ბრბო არ დაუჭერიათ კიდევ. გამოკიდების დროს დაიჭრა ორი პოლიციელი.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთის გუშინდელს ნომერში, ბ. დავით კაკაბაძე მემდურის, რატომ არ მივეცი ნება „ორიოდე სპარსულ მინიტურის შესახებ ცოტა რამ შენიშვნები აღმენიშნაო".

სრული სიმართლე გახლავს. არ მივეცი მაგისი ნება, რადგანაც ქართულს მუზეუმში წესადა გვაქვს, კერძო და გარეშე კაცს ნივთებისა და სურათებისა არც ასლი, არც რაიმე შენიშვნა არ ავაღებინოთ. კარგია თუ ცუდი ეს წესი, ჰგავს თუ არა ერმიტაჟის ან სხვა მუზეუმის წესს, ჩვენი წესი ჩემთვის [illegible] ბულია და პირველი მისი დამცველი მე უნდა ვიყო, მუზეუმის გამგე.

მაგ წესის დაცვა იმიტომაც არის საჭირო, რომ ამ ჟამად ჩვენ მოწვეული გვყავს ფოტოგრაფი, რომელსაც ვაღებინებთ ასლს ჩვენი მუზეუმის ყველა შესანიშნავ ნივთებისა და სურათებისას, რათა შემდეგში გამოვცეთ ეს ფოტოგრაფიები ალბომებად და ღია წერილებად.

რასაკურველია ამ გამოცემებიდან გვინდა შევძინოთ რამდენიმე მოგება იმავ ქართულს მუზეუმს, და უცნაურობა დიალამც მაშინ იქნებოდა, რომ კერძო და გარეშე კაცისათვის დაგვენებებინა თუნდა მცირე რამ იმ მოგებისა, რომელიც მუზეუმს უნდა ერგოს, და მეც, საზოგადოების ხაზინადარს, ამისათვის ხელი შემეწყო.

ალ. სარაჯიშვილი.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ [illegible] მცირე წერილი მოგვითავსოთ თქვენ[illegible] გაზეთის მახლობელ №-ში.

„სახ. გაზეთის" № 945-ში მოთავსებულია „დამსწრეს" წერილი ვი[illegible] თომდა „სიმართლის აღსადგენად" [illegible] რომელიც ეხება ს. გუბში მომხდარ[illegible] ინცინდენტს 23 ივნისს კრებაზე. რომ[illegible] ერთი სიმართლე მაინც ერიოს [illegible] „სიმართლის" აღსადგენ წერილში [illegible] —ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი ვერ[illegible] ვპოვეთ რა შიგ. ჩვენ წაკითხული [illegible] გვაქვს ბ-ნ მოსეშვილის კორესპონ[illegible] დენციაც, დავესწარით ხსენებულ კრებასაც, და ერთი სიტყვა არ ყოფილა შიგ ნახმარი ისეთი,—რომელსაც კრებაზე ადგილი არ ჰქონოდეს. ეტყობა, „დამსწრე" ერთი იმათგანი უნდა ბრძანდებოდეს, რომელთა მეოხებით კრების ერთი ნაწილი საზოგადოების უუფლებო წევრად იქნა აღიარებული ხსენებულ კრებაზე და კიდევ ერთი წლითაც შეგვინარდნენ ასეთ პირობებში ჩაყენებას. ნურავინ ფიქრობს, რომ ჩვენ რასაც კანონი გვანიჭებს, მისი ფეხქვეშ გათელვა ვინმეს ვაპატიოთ.

კ. მოსეშვილი, ილიკო მოსეშვილი, ვ. მოსეშვილი, პავლე ბერაძე, სიმონ ბერაძე, იოსებ ხარაბაძე, მიხაილ სვანიძე, დათიკო მოსეშვილი, ელიზბარ მოსეშვილი, ბ. ბერაძე. დავით ბერაძე, დავ. მოსეშვილი, დათიკო მოსეშვილი, ვ. მოსეშვილი, ალეკო ბერაძე, სევ. მოსეშვილი, ღ. მოსეშვილი, სილ. მოსეშვილი. ივ. მოსეშვილი, ალ. მოსეშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჯუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა (ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაც. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარეკი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 2, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **სჩქარო** პლაც. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარეკ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ყარსიანი: № 65, **საბაგარაკი** დილ. 8 ს. 46 წ., № 67,ბ **საბ.** ნაშუადღ. 2 ს. 43წ.

ეს მატარებელები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეებით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **სჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარეკ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **ხ.მგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № .06, **ნარეკი** ღამ. 2 ს 12 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

თბილისი— პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ეუჩიდან.

ავლაბრისა—კაბეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან დარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონს ქალაქის საავადმყოფოებში და თვითოს ავადმყოფის ბინაზედაც ყოველ-ძა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე იხადულოს ავადმყოფი, გარდა საჭიარო შეეთხვევებისა, როცა დანიარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606" და „914"

11—12 ს. შეშხაპუნება

კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბაბანოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სა'ყ. და ქირურგ.

ა. ბ. კარაბეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კოხსულტაციები და ოპერაციები მოიგებენ.

სამკურნალოს დირეკტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

1004

ექიმი ქ. სოხუმში **ივანე სვიმონის ძე ფრანგულიანცი**

დებულობს შინაგან და დედათა სნეულების ავადმყოფებს დილის 9 საათ. ვ. დრე 12 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. კოლიუბაკინის ქუჩა (ადმირალტეისკაია), გაზდენიხას სახლი, ქ. ისაჯანოვის პანსიონში 1403.

ექიმი ქ. ბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაკარაშვილისა.

ექიმი **ა. შ. მიქელაძე**

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი**

1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ოქროს მედალი **ოქროს მედალი**

ეკალიერი

მოსკოვის საქარხნო საწყობისა

ვლადიმერ ალპატოვისა

GRAHD-PRIX

ო. მ. ულანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნოა 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

ძმ.

ქეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 7:2.

ახალ-ახალი

მტკვრისა თართი, ზღვისი, ლოქო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი

ხიზილალა ქიტკა

ავრედვე ყოველ დროს იყიდება **მაღაზიაში მარტის დღეში, იანი, ჯიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და

კონსერვები.

ჩრეულეთის შესახვ. № 5, 1-ლ კომერც. სასწავლებლის ზემოდ, ვკტერინ. ქუჩ. ბოლოს, № 7.

გამოცდილი მასწავლებლები

ამზადებენ: **სიმღერის მოწმობაზე,** ვიოლინა და ქალთა გიმნაზიის 2, 3, 4, 5, 6 კლას. **ყველა სასწავლებლის** ყველა კლასისათვის; **აფთიაქის მოწმობისა;** სკოლახო ხარისხისა და პირველდაწყ. სკოლის მასწავლებლის მოწმობისათვის. მისამართი: მთავმთიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მაჩაიძე, ნახვა შეიძლება დილით 12—1 ს. საღ. მოთი 5—7 საათ. 1400

ოქროს საათი

საათის ნამდვილი ზომა

სრულიად არ არის საჭირო. 200 მან, ღირსებულ ოქროს საათის მაგიერ გამოიწერეთ პირდაპირ ბერლინიდან ფრანგული ოქროს საათი **„ხრონომეტრის"** ბისტ მისა, რომელიც გარეგნობით და სილამაზით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება. სულ ღირს **4 მ.** საათი ეს ქალისა თუ კაცისა ძლიერ თხელი ორი სახურავით, დაფარ. ელექტრ. 18 კარატიანი სქელი ოქროთი. საათის მექანიზმი საუკეთესო ხარისხისა, ქ:ებით, მოსამართი „რემონტუარი" ერთხელ 40 საათის განმავლობაში, სვლელობა შემოწმებულია. **მუშაობის სწორობისათვის პასუხს ვაგებთ 10 წლის განმავლობაში.** საათის ფასი **4 მ., 2** საათი—**7 მ. 50 კ., 4** საათი—**14 მ. 25** კაპ., ვინც ამ საათს გამოიწერს, სამუდამოდ მადლიერი იქნება ჩვენი. ყოველ საათს **უფასოდ** გუმბატებთ; 1. კაციისთვის ოქროენა ძეწკვს საათისას. ან და ქალის ყელზე გასაკეთებელს ნამდვილი ფრანგულ ოქროსას; 2. ბრელოკს, ბინოკლს პარიზის საინტერესო სანახაობებით; 3. საათის ბუდეს ზამშისას; გაგასგზავნი ფასი ბაჟით—50 კ., (ციმბირში 75 კ.). დაკვეთილს ვაგზავნით თავის დროზე, უბადოდ. ფასდადებით; მოწერა ყველა ენაზე შეიძლება. შემდეგის მოსამართით, რომელიც შეიძლება ამოიკრიას და კონვერტზე დაიკრას ან და გადაიწეროს (კონვერტ. 10 კ. მარკა) ან ფიცარ წერილზე (4 კაპ. მარკა).

წერილი გამოგზავნეთ:

Berlin I. Strumfeld
Берлинъ 95. Klosterstr. № 42.

გაფრთხილება! 1. მიბაძვის თავიდან ასაცილებლად ვაცხადებთ, რომ ჩვენი საათი ნამდვილი **ხრონომეტრია**", ციფერბლატზე აწერია: „ბერლინი **ხრონომეტრი**". М. 38220. 1362.

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა",** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მიტროფანე ლაღიძის და ამხ.

ფრიად სასიამოვნოლობისათვის მარგესი და სურნელების

სასმელი და ჯანმრთელი ბელი საამური გემოხილეული, და მინერალური

სამკურნალო წყალი

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვნისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით

ზამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრედვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანი უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **უურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრედვე თავსაცობს ზედ-წარწერით;**

„M. ЛАГИДЗЕ".

ქარხნები: **ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411.**
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.

1214

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".